პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 263 (9423) | ოთხშაბათი, 5 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის მუშებო, გლეხებო, ინტელიგენციავ! უფრო გაბედულად დანერგეთ მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები სახალხო მეურნეობის ყველა დარგში! იბრძოლეთ შრომის ნაყოფიერების განუწყვეტელი ზრდისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან.

# სოციალიზმისათვის ბრძოლის დროშით

○ „პრავდის" 4/XI მოწინავე ○

ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა აღფრთოვანებითა და სიხარულით ეგებება საერთაშორისო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს.

საბჭოთა კავშირს, კომუნიზმის მშენებელ ქვეყანას, სიყვარულით შეჰყურებენ მთელი მსოფლიოს მშრომელები. ჩვენი სოციალისტური სამშობლო როგორც ჩაუქრობელი შუქურა უნათებს ყველა ქვეყნის ხალხებს ნათელი მომავლისათვის, ომის წინააღმდეგ და მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის გზას.

ისტორიულ სიტყვაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა თქვა:

**„მას შემდეგ, რაც ჩვენმა პარტიამ 1917 წელს ხელში აიღო ძალაუფლება, და მას შემდეგ, რაც პარტიამ განახორციელა რეალური ღონისძიებანი კაპიტალისტთა და მემამულეთა უღლის ლიკვიდაციისათვის, მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა, რომლებიც აღტაცებული იყვნენ ჩვენი პარტიის სიმამაცითა და წარმატებებით, მსოფლიო რევოლუციური და მუშათა მოძრაობის „დამკვრელი ბრიგადა" უწოდეს მას. ამით ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ „დამკვრელი ბრიგადის" წარმატებები მდგომარეობას შეუმსუბუქებდა კაპიტალიზმის უღელქვეშ მგმინავ ხალხებს".**

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ პირნათლად გაამართლა ყველა ქვეყნის მშრომელთა იმედი და ნდობა. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, უმძიმესი განსაცდელის წლებში, რაც ჩვენს ქვეყანას თავს მოახვია მსოფლიო იმპერიალისტურმა რეაქციამ, საბჭოთა კავშირმა გაანადგურა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია, იხსნა ევროპისა და აზიის ხალხები ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.

**„...კაპიტალისტურ სისტემას ჩამოშორდნენ ჩინეთი და სხვა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნები ევროპაში,** — აღნიშნავს ამხანაგი სტალინი თავის კლასიკურ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში", — **რომლებმაც საბჭოთა კავშირთან ერთად შექმნეს ერთიანი და მძლავრი სოციალისტური ბანაკი, რომელიც უპირისპირდება იმპერიალიზმის ბანაკს".**

დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავს საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც მზარდი სოციალისტური ბანაკის სათავეში დგას, ეგებება საყოველთაო-სახალხო შემოქმედებითი აღმავლობის ვითარებაში. ეკონომიკურად და პოლიტიკურად ჩვენი სახელმწიფო უფრო ძლიერია, ვიდრე ოდესმე წინათ იყო.

ახალი, კომუნისტური სამყაროს მშენებლობაში სოციალისტური სახელმწიფოს დიადი წარმატებანი აზრებენ ყველა ქვეყნის მშრომელებს, განუმტკიცებენ ხალხებს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი საქმის გამარჯვების რწმენას.

საბჭოთა კავშირთან ერთად დემოკრატიისა და სოციალიზმის ერთიან და მძლავრ ბანაკში, მშვიდობისა და სოციალიზმის დროშით, ლენინ—სტალინის დიადი დროშით აშენებენ ახალ, ბედნიერ ცხოვრებას სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები.

გამოხატავს რა მთელი საბჭოთა ხალხის გრძნობებსა და ფიქრებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თავის საოქტომბრო ლოზუნგებში აცხადებს:

**— ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალიზმს!**

**გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!**

ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ცხოვრებაში ახალი ისტორიული ეპოქა დაიწყო მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვების შედეგად. საბჭოთა არმიის მიერ მძიმე იმპერიალისტური უღლისაგან განთავისუფლებულმა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ალბანეთის ხალხებმა, რომლებსაც ხელმძღვანელობენ და წარმართავენ კომუნისტური და მუშათა პარტიები, დაამყარეს სახალხო-დემოკრატიული წყობილება, მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას.

ჩვენი პარტიის ისტორიული გამოცდილება შთამაგონებელი მაგალითი და სახელმძღვანელოა სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ახალი, თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობისადმი ნათქვამია:

„ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება და დიდი მიღწევები მშენებლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსების დროიდან განვლილი სამი წლის მანძილზე ამტკიცებენ, რომ იქ, სადაც, ამ ქვეყნის კონკრეტული პირობების მიხედვით, სწორად იყენებენ მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის მოძღვრებას, სწორად იყენებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ რევოლუციასა და მშენებლობაში შეძენილ გამოცდილებას, — იქ გამარჯვება მუდამ უზრუნველყოფილია".

კაპიტალიზმის ბანაკის ქვეყნებისაგან განსხვავებით, რომელთა ეკონომიკა მარწუხში ჰყავს ჩაჭერილი კაპიტალიზმის საერთო კრიზისს, რაც სულ უფრო ღრმავდება, და ეკონომიკურ კრიზისებს, რაც პერიოდულად მეორდება, სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ეკონომიკა მძლავრი აღმავლობის გზით მიდის.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანასთან—საბჭოთა კავშირთან სულ უფრო მტკიცე მეგობრულ კავშირზე დაყრდნობით, მის ძმურ მხარდაჭერასა და დახმარებაზე, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის მზარდ თანასწორუფლებიან და ურთიერთხელსაყრელ ეკონომიკურ კავშირზე დაყრდნობით სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები წარმატებით ახორციელებენ ინდუსტრიალიზაციის გეგმებს.

სწრაფად ვითარდება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკა. ჩინელი ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით შრომობს და წარმატებით ძლევს იაპონელ დამპყრობთა და გომინდანური რეაქციის წინააღმდეგ გამაჩანაგებელი ომის მძიმე შედეგებს. სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ჩინეთში 1951 წელს 1949 წელთან შედარებით ერთორად და მეტად გადიდდა. დიდი აგრარული რეფორმის შედეგად, რაც სახალხო მთავრობამ განახორციელა, მიღწეულია დიდი წარმატებანი სოფლის მეურნეობაში. ჩინელმა ხალხმა თავისი ნაცადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საჭირო პირობები შექმნა გეგმიან სამეურნეო და კულტურულ განვითარებაზე გადასვლისათვის.

**— ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც ახალ წარმატებებს მიაღწია ჩინეთის ძლიერი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში!**

**განმტკიცდეს და აყვავდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის დიდი მეგობრობა—შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მტკიცე ბურჯი!**

წარმატებით ავითარებს თავის სახალხო მეურნეობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელშიც 1952 წელს სამრეწველო წარმოებამ 36 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს. დიდი წარმატებანი მოიპოვა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკამ თავისი ეკონომიკის განვითარებაში, კულტურის აღმავლობაში. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი მშენებლობა შეწყვიტა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებულმა თავდასხმამ. მთელი პროგრესიული კაცობრიობის მხურვალე თანაგრძნობას იწვევს კორეელი ხალხი, რომელიც მამაც ჩინელ მოხალისეებთან მეგობრობით გმირულად იცავს თავისი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას და წინააღმდეგობას უწევს იმპერიალისტ დამპყრობლებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ სოციალიზმის გზით შეიძლება მიაღწიონ განუხრელ პოლიტიკურ, სამეურნეო და კულტურულ აღმავლობას. ისინი თვალნათლივ ხედავენ, რომ წინათ ბედკრული და უუფლებო მასები სოციალიზმის მეოხებით თავიანთი ბედის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონნი, ისტორიის შეგნებული შემოქმედნი ხდებიან.

რევოლუციურ გარდაქმნათა მსვლელობაში, ბურჟუაზიული იდეოლოგიის, წარსულის ჩვევებისა და ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იშედება ახალი, სოციალისტური იდეოლოგია და კულტურა, რაც დამყარებულია პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის პრინციპებზე.

ექსპლოატატორული კლასების ბატონობის მოსპობა და სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამკვიდრება, დიად რევოლუციურ გარდაქმნათა წარმატებით განხორციელება, ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობა, მასების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში იწვევს ხალხთა მზარდ პოლიტიკურ დარაზმვას კომუნისტური და მუშათა პარტიების გარშემო, რომლებიც მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის სულისჩამდგმელნი და ორგანიზატორები არიან. სოციალიზმი ხალხთა ნამდვილი თავისუფლებისა და ბედნიერების გზას უსახავს კაცობრიობას. კაცობრიობის მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის. სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები აურაცხელია. სოციალიზმის დროშა ძლევამოსილი დროშაა.

„ახლა,—ამბობს ამხანაგი სტალინი,— **როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდნენ ახალი „დამკვრელი ბრიგადები" სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით,—ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა, და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა".**

ძალღონით აღსავსე და ძლიერი, კომუნიზმისათვის ბრძოლის დიადი სტალინური პროგრამით შეიარაღებული ეგებება ჩვენი საბჭოთა სამშობლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავს. საბჭოთა ხალხი ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მთელ თავის ძალღონეს ახმარს კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების შესრულებას.

# საქართველოს მშრომელები ახალი საწარმოო საჩუქრებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის XXXV წლისთავს

## უხვი მოსავლისათვის მებრძოლნი

**ახალციხე.** (საკ. კორ.). სოფელ ვალეს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა კარტოფილის მოსავლის აღება ვადაზე დაამთავრეს და 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 233 ცენტნერი კარტოფილი, ნაცვლად გათვალისწინებული 130 ცენტნერისა. კოლმეურნეობამ სახელმწიფოს უკვე ჩააბარა 140 ტონა კარტოფილი.

ყველაზე უკეთესი მოსავალი მიიღო მეცხრე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი იოსებ ჩიტაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 10,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო 280 ცენტნერი კარტოფილი. მეექვსე ბრიგადამ, რომელსაც ამხ. ა. გოზალიშვილი ხელმძღვანელობს, 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 170 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანა.

სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება უკვე გაანაღდა რგოლმა, რომელსაც ივანე გოზალიშვილი ხელმძღვანელობს. აქ 5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე კარტოფილის მოსავალი 293 ცენტნერს აღწევს, გეგმით გათვალისწინებული იყო 135 ცენტნერი. მეცხრე ბრიგადაში შოთა მანველოვის რგოლმა გეგმით გათვალისწინებული 130 ცენტნერის ნაცვლად 5,25 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 281 ცენტნერი კარტოფილი.

## ახალი შრომითი პათოსი

**გურჯაანი.** (საკ. კორ.). მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა წარმატებით გაანაღდა სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულება. ჩუმლაყის აგროგანყოფილებამ, რომელსაც აგრონომი ი. ქვანია ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 78 ცენტნერს ითვალისწინებდა. მევენახე ვ. გეთიაშვილმა ჰექტარზე საშუალოდ 102 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გ. ვარაზაშვილმა — 120 ცენტნერი.

მუკუზნელმა მევენახეებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს. ისინი ენერგიულად შრომობენ, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულონ ვენახებში საშემოდგომო სამუშაოები.

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი დროშა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტს

საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტრომ შეაჯამეს ქვანახშირის მრეწველობაში სოციალისტური შეჯიბრების მესამე კვარტალის შედეგები, შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მესამედ მიაკუთვნეს ტყვარჩელქვანახშირის ტრესტს (მმართველი ა. ლაბახუა, მთავარი ინჟინერი ფ. ნაჭყებია).

საკავშირო პროფსაბჭოს და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია ზედიზედ მეხუთედ მიეკუთვნა ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ბერიას სახელობის შახტს (უფროსი ვ. რევიშვილი, მთავარი ინჟინერი რ. ბოცვაძე).

შეჯიბრებაში გაიმარჯვა, საკავშირო პროფსაბჭოს და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიეკუთვნა ამავე ტრესტის სტალინის სახელობის შახტს (უფროსი გ. მიქაშავიძე, მთავარი ინჟინერი ფ. კლოკიდი).

უბნებს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულნი გამოვიდნენ და საქართველოს ქვანახშირის კომბინატის და ქვანახშირის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი დროშები და ფულადი პრემიები მიეკუთვნათ ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის სტალინისა და ბერიას სახელობის შახტების მე-8 უბნებს (უბნების უფროსები ამხ. წულეისკირი და ბახტაძე), ტყიბულქვანახშირის სტალინის სახელობის შახტის № 5-ბის უბანს (უფროსი ამხ. გორგიძე), იმავე ტრესტის ლენინის სახელობის შახტის პირველ უბანს (უფროსი ამხ. შოთაძე) და ახალციხის შახტსამმართველოს № 2 შახტის № 2-ბის უბანს (უფროსი ამხ. საკანდელიძე).

## ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის ენერგეტიკოსები წარმატებით იბრძვიან ელექტროენერგიის მომჭირნეობისათვის, დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის წარმატებით შეხვედრისათვის. მაღაროებსა და მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკებში შეიცვალა დიდი სიმძლავრის 37 ძრავი, რითაც ყოველთვიურად 76.000 კილოვატსაათი ენერგია იზოგება. ლენინის, სტალინის, ორჯონიკიძისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროებში განათების ქსელისათვის მოეწყო ჯგუფური და ინდივიდუალური გამომრთველები, რაც ელექტროენერგიის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა.

სტალინის სახელობის მაღაროს მარგანეცის გამაუხვებელ ფაბრიკაში (№ 25—ბის) მადნის მეორადი დამსხვრევისათვის დაიდგა გაუმჯობესებული სამტვრეველა, რომელმაც გაადიდა გამოსავალი. ამ ღონისძიებით წლიურად 92.000 კილოვატსაათი ენერგია იზოგება. ამავე ფაბრიკაში დაიდგა ოთხი ახალი საცრეცხი დაზგა, რაც გაზრდის პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებას და ყოველწლიურად 138 ათას კილოვატსაათ ენერგიას დაზოგავს. ტრანსფორმატორების გადაჯგუფებითა და რაციონალური გამოყენებით მათი სიმძლავრე 275 კილოვატ-ამპერით შემცირდა. ეს ენერგია გამოყენებულია სხვა ობიექტებზე.

აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად მარგანეცის ტრესტის საწარმოებში ცხრა თვეში 2.045.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია დაიზოგა.

## საოქტომბრო საჩუქრები

**ლენინგორი.** (საკ. კორ.). სოფელ ყანჩაეთის მევენახეებმა, რომლებმაც ყურძნის უხვი მოსავლის მიღებით მთავრობის მაღალი ჯილდოები დაიმსახურეს, მევენახე-ბრიგადირის, ლენინის ორდენოსან მიხეილ ტატუნაშვილის ხელმძღვანელობით სამაგალითოდ მოუარეს ვენახს. გამრჯე ბრიგადირს მუდამ მხარში ედგა მუყაითი კოლმეურნე ლენინის ორდენოსანი გიორგი ტატუნაშვილი.

ამ დღეებში გაჩაღდა რთველი. თვითეულ ჰექტარზე 60-65 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს, გეგმა კი 42 ცენტნერს ითვალისწინებდა.

ყანჩაეთლებმა გადაწყვიტეს უფრო გაზარდონ ვენახის ფართობი. წელს გეგმით გათვალისწინებული 2 ჰექტარის ნაცვლად ახალი ვენახი 4 ჰექტარზე გააშენეს.

უხვად ანაზღაურდა სოფელ ლენინგორის კოლმეურნეობის მევენახეების ნიკოლოზ და პავლე ილურიძეების, თედო მჭედლიშვილის და სხვათა შრომა. ამ კოლმეურნეობაში გეგმის გადამეტებით თვითეულ ჰექტარზე 20-25 ცენტნერი ყურძენი მოკრიფეს.

ყანჩაეთელმა, წირქოლელმა, ლენინგორელმა მევენახეებმა საოქტომბროდ მშრომელთა სუფრას გაუგზავნეს ათობით ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი.



თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის კოლექტივი გადაჭარბებით ასრულებს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. **სურათზე:** წარჩინებული სტახანოველები მქსოველი ბ. კოკოლაშვილი (მარჯვნივ) და სართავი საამქროს მეფთილე ნ. ჩაჩანიძე (მარცხნივ), რომლებიც საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში გამომუშავების დღიურ ნორმებს 113-115 პროცენტით ასრულებენ და მხოლოდ პირველი ხარისხის პროდუქციას უშვებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება

გუშინ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ა. ი. მგელაძემ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა.

განხილულ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება.

პარტიული აქტივის კრებამ უდიდესი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება პარტიისა და საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

კრება დამთავრდა პარტიული ჰიმნის — „ინტერნაციონალის" სიმღერით.

აქტივის კრების ანგარიში გამოქვეყნდება „კომუნისტის" მორიგ ნომერში.

# დამთავრდა ნავიგაცია მოსკოვ-როსტოვის ხაზზე

სამგზავრო გემი „საბჭოთა რესპუბლიკა", რომელმაც დაიწყო მიმოსვლა მოსკოვ-როსტოვის ხაზზე, 1 ნოემბერს უკანასკნელი რეისით დაბრუნდა მოსკოვს.

8 კომფორტულმა გემმა, რომლებიც ამ ხაზზე დადიოდნენ, ნავიგაციის სამ თვეში გადაიყვანა ათეულ ათასობით მგზავრი და გადაზიდა ათასობით ტონა ძვირფასი ტვირთი.

მოსკოვ-როსტოვის ხაზი დაიხურა მომავალ ნავიგაციამდე. (საკდესი).

# იაპონიაში გამოიცა ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში"

**ტოკიო.** (საკდესი). როგორც გაზეთი „სოვიეტ ნიუსი" იუწყება, იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ გამოსცა პირველი ნაწილი ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომისა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში". გაზეთმა „სოვიეტ ნიუსმა" გამოაქვეყნა ტექსტი ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე.

27 ოქტომბერს ტოკიოში გაიმართა საჯარო ლექცია ამხანაგ ი. ბ. სტალინის შრომის შესახებ „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში".

იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებამ გამოაქვეყნა აგრეთვე ამხანაგ მალენკოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ბელადის ისტორიული მოხსენება

(10 წელი ი. ბ. სტალინის მოხსენებისა — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავი")

* * *

დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში, როცა საბჭოთა ადამიანები ფრონტზე და ზურგში მთელ ძალღონეს ძაბავდნენ მტრის გასანადგურებლად, ამხანაგ სტალინის გამოსვლები, მოხსენებები და ბრძანებები მარქსიზმ-ლენინიზმის უძლეველი იდეების ბრწყინვალე შუქით აცისკროვნებდა ხალხის ტიტანურ ბრძოლას. სტალინის გენიალური აზრები აღაფრთოვანებდა ჩვენს ხალხს საბრძოლო გმირობისა და ზურგში თავდადებული შრომისათვის, უნერგავდა მას გამარჯვების ურყევ რწმენას.

მოხსენება „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავი" ამხანაგ სტალინის ერთ-ერთი ისტორიული გამოსვლაა, რომელმაც უდიდესი დამრაზმავი და მაორგანიზებელი როლი შეასრულა ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ერთ-ერთ ყველაზე ძნელ პერიოდში. ეს მოხსენება, რომელიც შემოქმედებითი მარქსიზმის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს, ცხადყოფს კომუნისტური პარტიის დიად მაორგანიზებელ ძალას, პარტიისა, რომელიც სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის ბრძოლას ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ, ცხადყოფს ამხანაგ სტალინის მხედართმთავრული გენიის სიდიადეს, მოწინავე სტალინური სტრატეგიის უდიდეს უპირატესობას ჰიტლერელთა ავანტიურისტულ სტრატეგიასთან შედარებით.

სტალინის მოხსენებამ შეაიარაღა მშრომელები ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ომის მიზნების, ამოცანებისა და პერსპექტივების მკაფიო გაგებით, უჩვენა მათ მტერზე გამარჯვების მიღწევის გზები.

* * *

დიდი ოქტომბრის ოცდახუთი წლისთავი საბჭოთა ხალხმა აღნიშნა განსაკუთრებით ძნელ და პასუხსაგებ მომენტში. ომის მეორე წელი იყო. ფაშისტურმა ჯარებმა 1942 წლის ზაფხულში გაარღვიეს ჩვენი ფრონტი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და მიაღწიეს მნიშვნელოვან ტაქტიკურ წარმატებას. მათ 5 თვის განმავლობაში წინ წაიწიეს ზოგან 500 კილომეტრამდე და გამოვიდნენ ვორონეჟის, სტალინგრადის, ნოვოროსიისკის, პიატიგორსკის, მოზდოკის რაიონებში და ემუქრებოდნენ კავკასიის ნავთის რაიონებს. ფაშისტთა ურდოებმა მოახდინეს უდიდესი ტერიტორიის ოკუპაცია. ჩვენს სამშობლოს კვლავ, როგორც 1941 წლის ზაფხულში, თავს დასტრიალებდა მომაკვდინებელი საშიშროება.

ამ მძიმე მომენტში მთელმა ჩვენმა ქვეყანამ, მთელმა მსოფლიომ მოისმინა სტალინის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავის შესახებ, გამსჭვალული მომავალი გამარჯვების რწმენით.

მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა სახელმწიფომ განვლილი წლის მანძილზე გიგანტური მუშაობა გასწიეს სოციალიზმის ქვეყნის მტკიცე ზურგის ორგანიზებისა და სამხედრო ძლევამოსილების გაძლიერებისათვის. „უნდა ვაღიაროთ, — თქვა ამხანაგმა სტალინმა, — რომ ჩვენს ქვეყანას ასეთი მტკიცე და ორგანიზებული ზურგი ჯერ კიდევ არასოდეს არ ჰქონია".

ამხანაგმა სტალინმა მოგვცა ომის დაწყებიდან 1942 წლის ნოემბრამდე საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე საომარი მოქმედების ღრმა ანალიზი. დიდმა ბელადმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ წითელი არმიის წარმატებიანმა მოქმედებამ მოსკოვთან, ტიხვინთან და ლენინგრადთან, როსტოვის, ტულისა და კალუგის რაიონში ცხადყო მისი მზარდი ძლიერება და გერმანელ ფაშისტთა ჯარების შესუსტება.

„როგორც ჩანს, გერმანელები უკვე იმდენად ძლიერნი აღარ არიან, — თქვა ამხანაგმა სტალინმა, — რომ ერთდროულად წარმართონ შეტევა სამივე მიმართულებით, სამხრეთით, ჩრდილოეთით, ცენტრისაკენ, როგორც ამას ადგილი ჰქონდა გერმანელთა შემოტევის პირველ თვეებში გასული წლის ზაფხულში, მაგრამ ისინი კიდევ საკმაოდ ძლიერნი არიან იმისათვის, რომ მოაწყონ სერიოზული შემოტევა რომელიმე ერთი მიმართულებით".

შემდეგ ამხანაგმა სტალინმა ცხადყო, რომ გერმანელთა 1942 წლის შემოტევის მთავარი მიზანი ის იყო, „...რომ გარსშემორტყმოდნენ მოსკოვს და წელს დაემთავრებინათ ომი". დამარცხდნენ რა 1941 წელს მოსკოვზე პირდაპირი იერიშის მიტანის ცდის დროს, ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს აეღოთ მოსკოვი შემოვლით, რისთვისაც ცდილობდნენ წინასწარ მოეწყვიტათ იგი ვოლგისა და ურალის ზურგისაგან.

სტალინის მხედართმთავრულმა გენიამ, საბჭოთა ადამიანების გმირობამ ფრონტზე და ზურგში, მათმა მისწრაფებამ გამარჯვებისადმი დაამსხვრია ფაშისტ დამპყრობთა ყველა ვარაუდი. საბჭოთა არმიამ მტერი სტალინგრადთან შეაჩერა. მაგრამ ჰიტლერელებს, მიუხედავად ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ უდიდესი ზარალისა, კვლავ მოჰყავდათ მაშველი ძალები. მდგომარეობა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე 1942 წლის ნოემბრის დასაწყისში განსაკუთრებით მძიმე იყო.

„...ჩვენს ფრონტზე წელს გერმანელების ტაქტიკურ წარმატებათა მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ევროპაში მეორე ფრონტის არარსებობამ მათ შესაძლებლობა მისცა მოეყარათ ჩვენს ფრონტზე მთელი თავისუფალი რეზერვები და შეექმნათ თავიანთი ძალების დიდი სიჭარბე სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით".

ცნობილია, რომ პირველ მსოფლიო ომში რუსეთის ჯარების წინააღმდეგ გამოყვანილი იყო მტრის 127 დივიზია იმ 220 დივიზიიდან, რომლებიც მაშინ გერმანიას ჰყავდა. გერმანელთა დანარჩენი დივიზიები აბანდებდნენ ინგლის-საფრანგეთის არმიებს. მეორე მსოფლიო ომის წლებში იმ 256 დივიზიიდან, რაც გერმანიას ჰყავდა, 240 დივიზია თავმოყრილი იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, უხეშად არღვევდნენ რა თავიანთ სამოკავშირეო ვალდებულებებს, წინასწარი განზრახვით აჭიანურებდნენ მეორე ფრონტის გახსნას ევროპაში. ამ ქვეყნების რეაქციული წრეები ფიქრობდნენ, რომ საკუთარი თავის ამარად მიტოვებული საბჭოთა კავშირი ჰიტლერულ გერმანიასთან ბრძოლაში ძლიერ დასუსტდებოდა და ეს შესაძლებლობას მისცემდა იმპერიალისტებს დაემონებინათ იგი.

ინგლისის მინისტრმა მურ-ბრაბაზონმა, შეეხო რა 1941 წლის ზაფხულში საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე არსებულ მდგომარეობას, სურვილი გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირისა და გერმანიის არმიებს დაეუძლურებინათ ერთმანეთი, ამ დროს კი, ინგლისი გაძლიერდებოდა და გაბატონებული სახელმწიფო გახდებოდა.

ომის პირველსავე დღეებში ცნობილმა სენატორმა, ახლა კი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ტრუმენმა პრესაში გამოაქვეყნა ასეთი განცხადება: „თუ ჩვენ დავინახავთ, რომ გერმანია იმარჯვებს, მაშინ ჩვენ უნდა დავეხმაროთ რუსეთს, ხოლო თუ დავინახავთ, რომ რუსეთი იმარჯვებს, უნდა დავეხმაროთ გერმანიას. და, ამრიგად, დაე მათ ხოცონ რაც შეიძლება მეტი".

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეების ამ მოღალატურმა პოლიტიკამ, რომელიც გამსჭვალული იყო შეძენის ავაზაკური წყურვილითა და სოციალიზმის ქვეყნისადმი სიძულვილით, შესაძლებლობა მისცა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთ, სამი წლის განმავლობაში ეწარმოებინათ ომი მარტო საბჭოთა ფრონტზე და აქეთ გამოეყვანათ მთელი თავიანთი მობილიზებული ჯარები და თავიანთი სატელიტების არმიები. საბჭოთა ქვეყანას მოუხდა გამკლავებოდა უდიდესი ძალის შემოტევას.

„მე ვფიქრობ, — თქვა ამხანაგმა სტალინმა, — რომ ვერც ერთი სხვა ქვეყანა და ვერც ერთი სხვა არმია ვერ შეძლებდა გაეძლო გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა და მათ მოკავშირეთა გამხეცებული ბანდების ასეთი შემოტევისათვის. მარტო ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, და მარტო ჩვენს წითელ არმიას შეუძლიათ გაუძლონ ასეთ შემოტევას. და არა მარტო გაუძლონ, არამედ კიდეც დაძლიონ იგი".

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში მტკიცე რწმენა გამოთქვა, რომ მეორე ფრონტი ევროპაში მაინც გაიხსნებოდა, რადგან იგი არანაკლებ საჭირო იყო ჩვენი მოკავშირეებისათვის, ვიდრე ჩვენთვის.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები ცდილობდნენ საბჭოთა კავშირისადმი დახმარებაზე ლაყბობით შეეცვალათ მეორე ფრონტის გახსნის შესახებ თავიანთ ვალდებულებათა შესრულება. ამის შესახებ ამხანაგი სტალინი 1942 წლის 3 ოქტომბერს წერდა: „იმ დახმარებასთან შედარებით, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს მოკავშირეებს იმით, რომ თავისკენ ჰყავს მიზიდული გერმანელთა ფაშისტური ჯარების მთავარი ძალები, — საბჭოთა კავშირისადმი მოკავშირეთა დახმარება ჯერ კიდევ ნაკლებ ეფექტიანია".

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა მეორე ფრონტი გახსნეს მხოლოდ 1944 წელს, საბჭოთა არმიის უდიდეს წარმატებათა შემდეგ, როცა ნათელი გახდა, რომ სსრ კავშირს ძალა შესწევს დამოუკიდებლად გაანადგუროს ჰიტლერული გერმანია და გაათავისუფლოს ევროპა ფაშისტური უღლისაგან.

1942 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში, როცა წითელი არმია უმაგალითო გმირობით იგერიებდა ფაშისტური ურდოების გაავთრებულ დარტყმებს, რომლებიც ჩვენი სამშობლოს სასიცოცხლო ცენტრებისაკენ მოიწევდნენ, ამხანაგი სტალინი ამზადებდა სტალინგრადის რაიონში საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის გენიალური გეგმის განხორციელებას. 1942 წლის 7 ნოემბრის ბრძანებაში ამხანაგი სტალინი მოუწოდებდა მეომრებს განემტკიცებინათ რკინისებური დისციპლინა, გაეუმჯობესებინათ საბრძოლო წვრთნა, მედგრად დაეცვათ თავიანთი პოზიციები, არ მიეცათ მტრისათვის წინსვლის საშუალება და მტკიცედ და შეუპოვრად ემზადებინათ გამანადგურებელი დარტყმა მტერზე. „შორს არ არის ის დღე, როდესაც მტერი გაიგებს წითელი არმიის ახალ დარტყმათა ძალას. ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაული!" — წერდა ამხანაგი სტალინი.

ეს სიტყვები ღრმად სწვდებოდა თვითეული მეომრის, თვითეული საბჭოთა ადამიანის შეგნებას, უნერგავდა მათ მხნეობასა და იმის რწმენას, რომ მტერზე გამარჯვება ახლოა.

ასრულებდნენ რა სტალინის მითითებებს, საბჭოთა ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და სამი თვის გმირული ბრძოლით — 1942 წლის ნოემბრიდან 1943 წლის თებერვლამდე — მთელი რიგი გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს ფაშისტ დამპყრობლებს და შექმნეს ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში. გრანდიოზულ ბრძოლაში სტალინგრადთან საბჭოთა ჯარებმა ნაწილობრივ მოსპეს, ნაწილობრივ ტყვედ წამოიყვანეს გერმანელ ფაშისტთა 330 ათასი ჯარისკაცისაგან შემდგარი არმია. დაიწყო საბჭოთა ქვეყნიდან მტრის მასობრივი განდევნა.

* * *

მეორე მსოფლიო ომის წლებში სტალინური საგარეო პოლიტიკის დიდი დამსახურებაა იტალია-გერმანიის კოალიციის იზოლაცია და ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც სსრ კავშირი გაერთიანდა ინგლისთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებთან ფაშისტ აგრესორთა წინააღმდეგ საერთო ბრძოლისათვის. მიუხედავად იმ ანტისაბჭოთა ხრიკებისა, რასაც მიმართავდნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები, რომლებიც აბრკოლებდნენ ამ კოალიციის შექმნასა და განმტკიცებას, იგი შენარჩუნებულ იქნა ომის დამთავრებამდე. ეს უწინარეს ყოვლისა იმით აიხსნება, რომ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხები თავიანთი მთავრობებისაგან მოითხოვდნენ, რათა მათ მტკიცედ დაეჭირათ მხარი საბჭოთა კავშირისათვის ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25-ე წლისთავის შესახებ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა განსაკუთრებული სიცხადით ჩამოაყალიბა ანტიჰიტლერული კოალიციის განმათავისუფლებელი მიზნები: „...რასობრივი განკერძოებულობის მოსპობა; ერების თანასწორუფლებიანობა და მათი ტერიტორიების ხელუხლებლობა; დამონებული ერების განთავისუფლება და მათი სუვერენული უფლებების აღდგენა; თვითეული ერის უფლება — მოეწყოს თავისი სურვილისამებრ; ეკონომიური დახმარება დაზარალებულ ერთათვის და მათი მატერიალური კეთილდღეობის მიღწევის საქმეში მათთვის ხელის შეწყობა; დემოკრატიულ თავისუფლებათა აღდგენა; ჰიტლერული რეჟიმის მოსპობა".

ეს პროგრამა, რომელმაც განსაზღვრა ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის სამართლიანი, განმათავისუფლებელი ხასიათი, შეეფერებოდა ფაშისტურ მონობაში ჩავარდნილი ევროპის ყველა ხალხის მისწრაფებასა და იმედებს და მათ მხურვალე მხარდაჭერას პოულობდა.

საბჭოთა კავშირი, რომელმაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტ აგრესორებზე გამარჯვებაში, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებდა სტალინურ პროგრამას როგორც ომის დროს, ისე ომისშემდგომ წლებში, ბოლომდე ერთგული იყო მის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებებისა.

სულ სხვა გზას ადგნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები. მათ უხეშად დაარღვიეს თავიანთი სამოკავშირეო მოვალეობა ომის დროს, ხოლო მის შემდეგ დაადგნენ საერთაშორისო შეთანხმებათა ჩაფუშვის გზას, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ ომის მზადების გზას. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები, იჩემებენ რა მსოფლიო ბატონობას, გამალებით აკოწიწებენ აგრესიულ ბლოკებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ჩვენი სამშობლოს საზღვრების მახლობელ სხვადასხვა ქვეყანაში ქმნიან სამხედრო ბაზებს, ახდენენ დასავლეთ გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაციას, აღადგენენ მეორე მსოფლიო ომის იმ ორ კერას, რომელთა ლიკვიდაციას მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ამერიკის შეერთებული შტატების თავდასხმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე ნიშნავდა ამერიკა-ინგლისის ბლოკის გადასვლას აგრესიული ომის მზადებიდან აგრესიის პირდაპირ აქტებზე.

„ამჟამად ამერიკის იმპერიალიზმი მოქმედებს უკვე არა მარტო როგორც აგრესორი, — ამბობდა ამხანაგი გ. მ. მალენკოვი მოხსენებაში პარტიის XIX ყრილობაზე, — არამედ აგრეთვე როგორც მსოფლიო ჟანდარმი, რომელიც ცდილობს ჩაახშოს თავისუფლება ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, და დანერგოს ფაშიზმი".

იმ ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, რომელსაც მსოფლიო რეაქციის შავბნელი ძალები ამზადებენ, მსოფლიო რეაქციისა, რომელსაც მთავარი აგრესიული სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები ხელმძღვანელობენ, ირაზმებიან ყველა ქვეყნის ხალხები. მთელი პროგრესული კაცობრიობა მშვიდობის დიდი მედროშის — მძლავრი საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

* * *

ამხანაგმა სტალინმა 1942 წლის 6 ნოემბრის მოხსენებაში უაღრესი სიცხადით ჩამოაყალიბა საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების ამოცანები ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში. ეს ამოცანებია, როგორც ამხანაგი სტალინი აღნიშნავდა, „... მოვსპოთ ჰიტლერული სახელმწიფო და მისი სულისჩამდგმელნი..., მოვსპოთ ჰიტლერული არმია და მისი ხელმძღვანელები..., დავანგრიოთ საზიზღარი „ახალი წესრიგი ევროპაში" და დავსაჯოთ მისი მშენებლები".

ასრულებდა რა დიდი სტალინის გენიალურ წინასწარდასახულობებს, საბჭოთა ხალხმა თავისი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით გაანადგურა ჰიტლერელი დამპყრობლები.

ამხანაგმა სტალინმა თავის ისტორიულ სიტყვაში პარტიის XIX ყრილობაზე აღნიშნა, რომ ჩვენმა პარტიამ გაამართლა საზღვარგარეთის მოძმე პარტიების იმედები „...განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირმა გერმანიისა და იაპონიის ფაშისტური ტირანია გაანადგურა და ევროპისა და აზიის ხალხები იხსნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან".

დიდ სამამულო ომში გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ, საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ, გაიმარჯვეს საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა.

ომისშემდგომ წლებში ახალი ძალით იჩინა თავი კომუნისტური პარტიის დიდმა მაორგანიზებელმა როლმა და მასების შემოქმედებითი აქტივობის კოლოსალურმა გაქანებამ, რამაც უზრუნველყო მეოთხე (პირველი ომისშემდგომი) ხუთწლედის გეგმის წარმატებით შესრულება. ჩვენმა ქვეყანამ მოკლე ვადაში მოიშუშა ომით მიყენებული მძიმე ჭრილობები და მიაღწია ეკონომიკისა და კულტურის მძლავრ აღმავლობას, სერიოზულ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის სტალინური პროგრამის შესრულებაში.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ პარტიის XIX ყრილობის დირექტივებს სსრ კავშირის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ. ამ გეგმის განხორციელება დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე.

ი. გრიგორიევი.

აგიტატორის საუბარი

# ნათელი პერსპექტივა

დიდი ინტერესით სწავლობენ ტყიბულელი მეშახტეები — მნგრეველები, მებიგეები, მთხრელები, ინჟინერ-ტექნიკოსები და მოსამსახურეები პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს. ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ი. ბ. სტალინის შთამაგონებელი სიტყვა საბჭოთა ადამიანებს უჩვენებენ ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისა და აღმავლობის გზებს.

ლენინის სახელობის შახტის ახალგაზრდა მეშახტეთა საერთო საცხოვრებლის წითელ კუთხეში აგიტატორ ე. ვაშაკიძეს მორიგი საუბარი აქვს. დანიშნულ დროზე თავი მოიყარეს მეშახტეებმა, მათთან მოვიდა პარტბიუროს მდივანი ვ. ბრეგაძეც.

მეშახტეები ყურადღებით უსმენენ აგიტატორის თვითეულ სიტყვას. ე. ვაშაკიძეს მოჰყავს ამონაწერები ამხანაგ გ. მ. მალენკოვის მოხსენებიდან მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში მოპოვებულ წარმატებათა შესახებ.

— ახალი სტალინური ხუთწლედი, — ამბობს აგიტატორი, — სახავს ჩვენი ქვეყნის განვითარების ნათელ პერსპექტივას. 1955 წელს 1950 წელთან შედარებით სამრეწველო წარმოების დონე ამაღლდება დაახლოებით 70 პროცენტით, თუჯის წარმოება გაიზრდება 76 პროცენტით, ფოლადისა — 62 პროცენტით, ქვანახშირისა — 43 პროცენტით, ნავთობისა — 85 პროცენტით. მწყობრში ჩადგებიან უდიდესი ელექტროსადგურები.

მეშახტეებს აღაფრთოვანებს სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობის გრანდიოზული პერსპექტივები.

— რა მისცეს ჩვენს ქვეყანას სტალინურმა ხუთწლედებმა? — სვამს კითხვას აგიტატორი და თვითონვე უპასუხებს:

— ამის საილუსტრაციოდ შორს წასვლა არ დაგვჭირდება, საკმარისია მოვიგონოთ ტყიბულის ქვანახშირის საბადოს განვითარების ისტორია, ტყიბულელ მეშახტეთა წარსული ცხოვრება. თქვენ იცით, თუ როგორ არაადამიანურ პირობებში მუშაობდნენ მეშახტეები: ქვანახშირის ფენებს წერაქვებით ებრძოდნენ, სანგრევებიდან ქვანახშირს მარხილებით ეზიდებოდნენ. თქვენთვის ადვილი წარმოსადგენია რევოლუციამდელ მეშახტეთა გაწამებული შრომა ტყიბულის ქვანახშირის საბადოებში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე პარტიამ და მთავრობამ მეშახტეთა შრომის გაადვილებისათვის მრავალი ღონისძიება განახორციელეს. სტალინური ხუთწლედების პერიოდში ჩვენს შახტებში უხვად დაინერგა ახალი სამთო მანქანები და მექანიზმები.

ახალ სტალინურ ხუთწლედში გათვალისწინებულია ჩვენს შახტებში ფართოდ დაინერგოს უახლესი სამთო მანქანები და მექანიზმები, ყოველმხრივ განვითარდეს ქვანახშირის ამოღების ყველაზე შრომატევადი პროცესების, უწინარეს ყოვლისა, ლავებში ქვანახშირის მონგრევის, მონგრეული ფუჭი ქანის დატვირთვის და სამთო გამონამუშევრების გამაგრების მექანიზაცია.

ჩვენს შახტში, მიუხედავად მექანიზაციის დიდად განვითარებისა, არის ეგრეთწოდებული „ვიწრო ადგილები", რომლებიც აფერხებენ ქვანახშირის ამოღებას, ხელს უშლიან თანამედროვე, მძლავრი სამთო კომბაინის გამოყენებას, ურომლისოდაც არ შეიძლება გადაიჭრას კომპლექსური მექანიზაციის საკითხები.

— ამისთვის საჭიროა ქვანახშირის დამუშავების ახლანდელი მეთოდი შეიცვალოს უფრო გაუმჯობესებული მეთოდით, — აწყვეტინებენ სიტყვას მეშახტეები.

— მართალია, საჭიროა საბადოს დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდის დანერგვა, — განაგრძობს აგიტატორი. — ამ საკითხის მოსაგვარებლად უკვე ზრუნავენ ჩვენს შახტში მივლინებული მეცნიერი მუშაკები. მეშახტეთა შემოქმედებითი აზრი უნდა დაეხმაროს მეცნიერებს ამ რთული პრობლემის წარმატებით გადაჭრაში.

აგიტატორმა მსმენელებს მოაგონა, რომ ახალ ხუთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია საკოქსე ქვანახშირის ამოღების სწრაფი ზრდა, მისი გადიდება სულ ცოტა 50 პროცენტით და დასძინა:

— ტყიბულის შახტებმა, ძირითადად კი ლენინის სახელობის შახტმა საკოქსე ქვანახშირით უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა საქართველოს სიამაყე — სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა. ამ საპატიო ამოცანის ღირსეულად შესრულებისათვის შახტის კოლექტივი თავდადებულად მუშაობს. გადაჭარბებით არის შესრულებული მიმდინარე წლის ყველა განვლილი თვის გეგმა. როგორც ხედავთ, ჩვენს შახტს აქვს მიღწევები, მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. საჭიროა მეტი გავაკეთოთ. ამისათვის კი საჭიროა უფრო ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, გამოვიყენოთ ყველა შინარესურსები, გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, რათა ახალ სტალინურ ხუთწლედში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება მნიშვნელოვნად გავადიდოთ.

— რამდენიმე სიტყვა ჩვენი შახტის სიმძლავრეთა გადიდებაზე, — განაგრძობს აგიტატორი. — ჩვენ ყველამ წავიკითხეთ ყრილობის დირექტივები, რომლებშიც ჩაწერილია, რომ მეხუთე ხუთწლედში მეოთხე ხუთწლედთან შედარებით ქვანახშირის შახტების სიმძლავრეთა ამოქმედება უნდა გადიდდეს დაახლოებით 30 პროცენტით. ამ სტალინური დავალების შესრულებისათვის ჩვენი შახტის კოლექტივმა აქედანვე უნდა გააჩაღოს მუშაობა. საჭიროა ყურადღება მიექცეს ახალი უბნებისა და ლავების საექსპლოატაციოდ მომზადებას. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებაში ხელს გვიშლის ის, რომ მექანიზაცია ჯერ კიდევ არ არის დანერგილი აღმავალ სამთო სამუშაოებზე. ამ სიძნელის დაძლევისათვის ჩვენ მოველით მეცნიერი მუშაკებისა და ნოვატორი მეშახტეების საქმიან დახმარებას.

— ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მომჭირნეობის რეჟიმის დაცვას სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის საქმეში. მიმდინარე წელს ჩვენი შახტი გამოვიდა პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად და იკისრა ხის სამაგრი მასალის, ელექტროენერგიის, ასაფეთქებელი ნივთიერებისა და სხვა მასალების მომჭირნეობით ხარჯვით დაზოგოს სულ მცირე ერთი მილიონი მანეთი. აღებული ვალდებულება ვადამდე იქნა შესრულებული: 9 თვეში ზეგეგმითმა დაგროვებამ 1.100 ათას მანეთს გადააჭარბა. ეკონომიისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელა თავი პირველი უბნის კოლექტივმა. ცალკეული მეშახტეებიდან თავი გამოიჩინეს ა. დარსაძემ, გ. ბოჭორიშვილმა, ი. სხილაშვილმა და სხვებმა. ამასთან ერთად მომჭირნეობის რეჟიმის დაცვის საქმეში ჩვენს შახტს მრავალი ნაკლი აქვს. ჯერ კიდევ სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული მექანიზმები, ხშირია სამთო სამუშაოების შესრულების დროს წუნი.

მეშახტეები დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ აგიტატორის განცხადებას იმის შესახებ, რომ ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასის გადიდებას სულ ცოტა 35 პროცენტით. აგიტატორმა ილაპარაკა აგრეთვე საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის დაცვის, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და კულტურული დონის ამაღლების საკითხებზე, რის ნათელსაყოფად მკაფიო მაგალითები მოიყვანა მეშახტეთა ქალაქის ცხოვრებიდან. ტყიბულში წელს გაიხსნა ახალი საავადმყოფო, აშენდა საშუალო სკოლის შენობა, საბავშვო ბაგა, მთავრდება საყოფაცხოვრებო კომბინატის, სამშობიარო სახლისა და საბავშვო ბაღის შენობების აგება. ახლო მომავალში დაიწყება მეშახტეთა კულტურის სახლის, პიონერთა სახლისა და კინოთეატრის მშენებლობა.

— მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება, — თქვა აგიტატორმა, — წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე.

აგიტატორის საუბარმა მსმენელებზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და აზრთა აქტიური გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია. მეშახტეებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს.

სტახანოველმა მნგრეველმა ნ. ბურჯანაძემ ყველა მეშახტის ფიქრები და გადაწყვეტილებანი გამოხატა, როცა თქვა:

— ახალი ხუთწლიანი გეგმის შესრულება კიდევ უფრო გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას, გააუმჯობესებს მშრომელთა ცხოვრების პირობებს. ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვა, XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი ახალი წარმატებებისაკენ მოგვიწოდებს. ჩვენი შახტის კოლექტივმა ვალდებულება აიღო ვადაზე 15 დღით ადრე გაანაღდოს ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა. ამ ვალდებულებას ჩვენ ღირსეულად შევასრულებთ.

— ჩვენს ქვეყანაში გაჩაღებული კომუნიზმის გრანდიოზული მშენებლობანი, — თქვა ახალგაზრდა მთხრელმა ვ. კირკიტაძემ, — მეშახტეებს გვავალებს კიდევ უფრო მეტი ქვანახშირი მივცეთ ქვეყანას. მე ჩავები საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვიკისრე ქვანახშირის ამოღების ყოველდღიური ნორმა 140 პროცენტით შევასრულო.

აგიტატორის საინტერესო საუბრის შემდეგ ლენინ—სტალინის დიადი საქმის საბოლოო გამარჯვების რწმენით, კომუნიზმის ნათელი პერსპექტივების განხორციელების ღრმა რწმენით აღფრთოვანებულმა მეშახტეებმა ახალი ძალით გააჩაღეს მუშაობა.

ვ. ცირეკიძე.
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## დაიხურა ჩინური სურათების გამოფენა

ერთი თვის განმავლობაში მოსკოვის მხატვრის სახლში მოწყობილი იყო ჩინური სურათების გამოფენა, რომელიც გახსნილი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მესამე წლისთავთან დაკავშირებით.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო გრავირებული სურათების ასზე მეტი ოსტატის, მათ შორის ფინ ჯენის, ლი ცის, დენ შუს, გუ იაუნის, ხოუ ი-მინის, ჯან ხუაი-ძიანის, ცაო ში-მინისა და სხვების საუკეთესო ნამუშევრები. სურათებში ასახულია ჩინეთში მომხდარი უდიდესი სოციალური გარდაქმნები, ხალხის სიყვარული ჩინეთის კომუნისტური პარტიისადმი, მისი ბელადის მაო ძე-დუნისადმი. დიდი გულთბილობით შესრულებულია სსრ კავშირისა და ჩინეთის ხალხთა მეგობრობისადმი, მშვიდობისათვის ბრძოლისადმი, ჩინელი და კორეელი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობისადმი მიძღვნილი სურათები.

გამოფენა დაათვალიერეს მოსკოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ათასობით მშრომელმა, აგრეთვე პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, რუმინეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა. (საკდესი).

## შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

საკავშირო პროფსაბჭომ და შავი მეტალურგიის სამინისტრომ განიხილეს შავი მეტალურგიის საწარმოების, საამქროებისა და უბნების კოლექტივთა სოციალისტური შეჯიბრების შედეგები III კვარტალში.

შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის არიან სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის საბრძმედე საამქრო, ჩელიაბინსკის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქრო, მალაროს „გორა მაგნიტნაია" და მოსკოვის კოქს-გაზის ქარხნის საკოქსო საამქრო. მათ შეინარჩუნეს წინათ მოპოვებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშები მიეკუთვნათ ნოვო-ტაგილის მეტალურგიული ქარხნის საბრძმედე საამქროს და თბოელექტროცენტრალს და სტალინის სახელობის მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატის № 1 მარტენის საამქროს.

თერთმეტ საწარმოსა და საამქროს მიეკუთვნა საკავშირო პროფსაბჭოს და შავი მეტალურგიის სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშები. (საკდესი).

## ძირეული პრესის მუშაკთა შეკრება

რაიონული გაზეთის „ადიგენის კოლმეურნის" რედაქციამ მოაწყო ძირეული პრესის მუშაკთა და კორესპონდენტთა შეკრება. შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს კ. პ. ადიგენის რაიკომის მდივნის ამხ. რ. გობეჯიშვილის მოხსენება — „პარტიის XIX ყრილობის შედეგები და ძირეული პრესის ამოცანები".

შეკრებაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე რაიონული გაზეთის „ადიგენის კოლმეურნის" რედაქტორის ამხ. შ. კუხალაშვილის და რაიკომის ინსტრუქტორ-პროპაგანდისტის ამხ. ა. წერეთლის მოხსენებანი კედლის გაზეთების მუშაობის ორგანიზაციის საკითხების შესახებ.

პარლამენტის ბიბლიოთეკა

# საოლქო და საქალაქო გაზეთების ფურცლებზე

## პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიული სიტყვა მძლავრი შუქით ანათებენ კომუნიზმის გზას, აღაფრთოვანებენ საბჭოთა ხალხს ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის. ყოველდღიურად იზრდება და მაღლდება მასების პოლიტიკური და საწარმოო აქტივობა, მათი მზადყოფნა — წარმატებით შეასრულონ XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანები.

ჩვენი რესპუბლიკის საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთები თავიანთ ფურცლებზე ათავსებენ მასალებს, რომლებშიც საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად იწონებენ ყრილობის გადაწყვეტილებებს, გამოთქვამენ თავიანთ მისწრაფებას — ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულონ მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმა.

ბევრი გაზეთი აქვეყნებს წერილებსა და სტატიებს მასების მძლავრი შრომითი აღმავლობის შესახებ, იმაზე, თუ რა კონკრეტული საქმეებით უპასუხებენ საბჭოთა ადამიანები პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ამხანაგ ი. ბ. სტალინის ისტორიულ სიტყვას. გაზეთები ფართოდ აშუქებენ ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, რომელიც ამ დღეებში საოქტომბრო შეჯიბრებად გადაიზარდა.

მკითხველის ყურადღებას იპყრობს თბილისის საოლქო გაზეთის „გამარჯვების“ 25 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე სტახანოველთა წერილები საერთო სათაურით: „ერთი ქარხანა და მისი ადამიანები ყრილობის შემდეგ“. ამ წერილებს დათმობილი აქვს გაზეთის მთელი გვერდი. მათში მოთხრობილია, თუ როგორ შეხვდა სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივი ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, მშობლიური სტალინის შთამაგონებელ სიტყვას. დიდი ინტერესით იკითხება ქარხნის ნოვატორი მჭედლის, ყრილობის დელეგატის კ. ილურიძის წერილი „ყრილობაზე მოსკოვში“.

„ყრილობის დამთავრების შემდეგ,— წერს ამხ. ილურიძე,— როცა მოსკოვიდან მოვდიოდი, ჩემი ფიქრი და საზრუნავი მხოლოდ ერთი იყო: რით და როგორ ვუპასუხო დიდი ბელადის შთამაგონებელ სიტყვას. თბილისში დაბრუნებისთანავე ჩემი შთაბეჭდილებანი ვუამბე ქარხნის მუშებს. ახალი ძალით გავაჩაღეთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება. ბელადის სიტყვის საპასუხოდ საწარმოო დავალებას ყოველდღიურად 500-540 პროცენტით ვასრულებ“.

თავიანთ წერილებში სტალინის სახელობის ქარხნის წარჩინებული ადამიანები ი. ჭუმბურიძე, პ. მერაბიშვილი, გ. ხაჟომია, გ. მუხიგულაშვილი, გ. დათუაშვილი, ი. ხორბალაძე მოგვითხრობენ, თუ როგორ შეხვდნენ ისტორიულ ყრილობას, რა მოიფიქრეს და გადაწყვიტეს დიდი სტალინის სიტყვის საპასუხოდ, როგორი წარმატებებით სურთ აღნიშნონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავი.

ასევე საინტერესოა გაზეთ „გამარჯვების“ 26 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული მასალები საერთო სათაურით: „ერთი კოლმეურნეობა და მისი ადამიანები ყრილობის შემდეგ“. კასპის რაიონის ქვემო გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ყრილობის დელეგატი სოფიო მარიდაშვილი და სტახანოველი კოლმეურნეები გაზეთის მკითხველებს უამბობენ იმ უმაგალითო შრომით აღმავლობაზე, რაც ყრილობის შემდეგ გაჩაღდა მოსავლიანობის გასადიდებლად.

28 ოქტომბრის ნომერში ქუთაისის საოლქო გაზეთი „სტალინელი“ საერთო სათაურით „ლენინ—სტალინის პარტიის გარშემო მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ“ აქვეყნებს მკითხველთა პატრიოტულ წერილებს. ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის სტახანოველი მნგრეველის შალვა ფურცხვანიძის წერილში „ვიბრძვი 500 ტონა ზეგეგმითი ქვანახშირისათვის“ ვკითხულობთ:

„ბრძენი ბელადის ამხანაგ სტალინის ისტორიული სიტყვით აღფრთოვანებული, სისტემატურად გადაჭარბებით ვასრულებ ქვანახშირის მონგრევის დღიურ ნორმას. ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდის ინტერესები მოითხოვენ განუწყვეტლივ ვზარდოთ ქვანახშირის ამოღება. ამიტომ მიღწეულით არ ვკმაყოფილდები. ჩავები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და ვალდებულება ავიღე წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით 500 ტონა ქვანახშირი ამოვიღო. ამჟამად საოქტომბრო სტახანოვურ ვახტზე ვდგავარ და თავდადებით ვიბრძვი აღებული ვალდებულების გასანაღდებლად“.

მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. რუსთავის საქალაქო გაზეთი „მეტალურგიისათვის“ სისტემატურად აშუქებს ქართველი მეფოლადეების სტახანოვურ მუშაობას, გაზეთი წერილებსა და სტატიებში მკითხველებს მოუთხრობს იმ შესანიშნავ პატრიოტულ საქმეებზე, რომლებითაც უპასუხებენ ქართველი მეტალურგები ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ი. ბ. სტალინის სიტყვას. გაეცნო რა ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს, მარტენის საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა მოაწყოს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად და მიიღო მიმართვა ყველა მეტალურგისადმი. გაზეთმა გამოაქვეყნა მეფოლადეთა ეს მოწოდება და მასზე ქარხნის სხვა საამქროთა კოლექტივების საქმიანი გამოხმაურება. ქართველი მეტალურგების შესანიშნავი თაოსნობა ფართო გავრცელებასა და მხარდაჭერას პოულობს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა შორის.

ჩვენი გაზეთების ამოცანაა ყოველნაირად განავითარონ მასების შრომითი ინიციატივა, მოფიქრებულად და საინტერესოდ გააშუქონ საბჭოთა ადამიანების თავდადებული ბრძოლა პარტიის XIX ყრილობის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

## ვერა დავიდოვას გასტროლები

მოსკოვის აკადემიური დიდი თეატრის სოლისტი, რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვერა ალექსანდრეს ასული დავიდოვა, რომლის გასტროლები წარმატებით მიმდინარეობს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, ეკუთვნის იმ რჩეულ ხელოვანთა რიცხვს, რომელთა შემოქმედება მუდამ ახლებური და საინტერესოა.

შესანიშნავი ხავერდოვანი ტემბრის, თავისუფლად მომდინარე, ყველა რეგისტრში ერთნაირი სიძლიერით ჟღერადი მეცო-სოპრანო, საუცხოო სკოლა, რაც საშუალებას აძლევს მომღერალს შესანიშნავად დაძლიოს შესასრულებელ ნაწარმოებთა ყველა ტექნიკური სიძნელე, მშვენიერი დიქცია, ღრმად შინაარსიანი ფრაზირება — აი ის შესანიშნავი თვისებები, რომლებმაც დამსახურებულად დააწინაურეს ვ. ა. დავიდოვა გამოჩენილი საბჭოთა ვოკალისტების პირველ რიგებში.

როგორც საბჭოთა საოპერო სცენის ნამდვილი ხელოვანი, ვ. დავიდოვა ორგანულად აკავშირებს თავის შემოქმედებაში ვოკალურ და სცენიურ ოსტატობას. ვ. დავიდოვას უნარი შესწევს მუდამ მონახოს ამა თუ იმ გმირისათვის დამახასიათებელი თვისებები, გამოკვეთოს სრულყოფილი სცენიური სახე. განსაკუთრებით ეს ითქმის ამნერისის სახის შესახებ ოპერა „აიდაში“ და კარმენის პარტიის შესახებ ბიზეს ოპერა „კარმენში“, რომელთა შესრულებითაც მომღერალმა დამსახურებული სახელი მოიხვეჭა.

თუ ამნერისის პარტიაში ვ. ა. დავიდოვა განასახიერებს ამ სახის ძირითად თემას — მგზნებარე სიყვარულს, კარმენის როლი მომღერალმა მძაფრ კონტრასტებზე ააგო. იგი ფსიქოლოგიურად სწორად ასახავს კარმენის მრავალფეროვან სულიერ განწყობილებას.

ბრწყინვალედ ასრულებს მომღერალი „ხაბანერას“ და „სეგიდილიას“ ოპერა „კარმენის“ პირველ მოქმედებაში.

ისევე, როგორც წინა წლებში, შესანიშნავი მომღერლის ვ. ა. დავიდოვას გასტროლები თბილისში დიდი და დამსახურებული წარმატებით სარგებლობს.

მ. ლეონიდოვი.

### შეხვედრა მწერალ ბ. ლავრენევთან

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში კომკავშირის ბათუმის საქალაქო კომიტეტისა და საჯარო ბიბლიოთეკის ინიციატივით ბათუმის მასწავლებლის სახლის დარბაზში მოეწყო მკითხველთა შეხვედრა ორგზის სტალინური პრემიის ლაურეატ დრამატურგ ბ. ლავრენევთან.

ბ. ლავრენევის შემოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორმა ს. ტყებუჩავამ. შეხვედრაზე მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი მ. გუსევა, საზღვაოსნო სასწავლებლის სტუდენტი ე. რუსეცკი, საშუალო სკოლის დირექტორი ტ. ურუშაძე, მოსწავლეები ტ. გაბეჩაია, მ. ცქიტიშვილი, რეჟისორი შ. ინასარიძე და პოეტი გ. სალუქვაძე.

დრამატურგმა მადლობა გადაუხადა დამსწრეებს და უამბო მათ თავისი შემოქმედებითი გეგმების შესახებ.



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მომღერალთა გუნდი; ცეკვა „ქართული“ — ასრულებს სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

# ახალი, ბედნიერი, სოციალისტური ცხოვრების სიმღერები

## თბილისის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერება

1 ნოემბერს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დაიწყო თბილისის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების საქალაქო დათვალიერება.

იხსნება ფარდა. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმფონიურმა ორკესტრმა და გუნდმა, კვების მრეწველობის სამინისტროს და ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მომღერალთა გუნდებმა შეასრულეს საბჭოთა საქართველოს ჰიმნი და „ჰიმნი სტალინს“.

პირველ დღეს დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის ლენინის, სტალინის, მოლოტოვისა და ბერიას რაიონების მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

სცენაზეა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ვ. ჭუმბურიძე). გუნდმა შეასრულა „სიმღერა ბელადზე“, „სიმღერა ბერიაზე“, „სიმღერა ახალ სოფელზე“ და „ცეკვა ცერებზე“.

დამსწრეთა ხანგრძლივი ტაში დაიმსახურა სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელები ს. იაშვილი და ლ. ფერნანდესი). გუნდმა იმღერა „ჰიმნი სტალინს“, „საბჭოთა ახალგაზრდობის მარში“, ჩეხური ხალხური სიმღერა „მწყემსი“. ლ. ფერნანდესმა და დ. სუარესმა შეასრულეს ესპანური ხალხური სიმღერა „ნუ ეძახი მას“ და „საყვარელი სამშობლო“. ესპანური ხალხური სიმღერა „გაზაფხული“ გუნდთან ერთად შეასრულეს ა. მირონოვამ და ნ. ვასიუკოვიჩმა.

სტალინის რაიონიდან მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებაზე მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი პ. ნალბანდიშვილი, ქორეოგრაფი მ. ბახტაძე), პუშკინის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლისა და პირველი საფეიქრო სკოლის მომღერალთა გუნდებმა.

დათვალიერებაზე მრავალფეროვანი პროგრამით წარსდგა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მომღერალთა გუნდი ნ. მამაცაშვილის ხელმძღვანელობით და სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ქარსელაძე, ქორეოგრაფი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ბახტაძე). გუნდმა შეასრულა „ჩინელი ახალგაზრდობის სიმღერა“, ჩეხური ხალხური სიმღერა „მწყემსი“. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა პირველად შეასრულა გ. კოკელაძის „გამარჯვების სიმღერა“, შემდეგ — ხალხური „ჩაკრულო“ და „სატრფიალო“, გ. კოკელაძის „საკოლმეურნეო საზეიმო“; ცეკვები „დავლური“, „ცეკვა ცერებზე“, „ცეკვა განდაგან“.

შემდეგი განყოფილება გახსნეს ქალაქ თბილისის მოლოტოვის რაიონის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა. მსუბუქი მრეწველობის თბილისის პროფტექნიკური სკოლის მომღერალთა გუნდმა შეასრულა „სიმღერა სტალინზე“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“; ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა წარმოადგინა „ჩინური ცეკვა“, ხოლო სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კლუბის ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა „ფერხული“.

დათვალიერებაზე ფართო პროგრამით წარსდგნენ თბილისის ბერიას რაიონის მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ცეკავშირის მუშაკთა კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა მაყურებელს უჩვენა „მევენახეთა საზეიმო ცეკვა“, „ცეკვა მთიულური“ და შეასრულა „სიმღერა სტალინზე“ (მუსიკა ნ. ხურციასი).

საინტერესო პროგრამით გამოვიდა საქართველოს კოოპინკავშირის მიასნიკოვის სახელობის კლუბის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. მახარაძე). გუნდმა შეასრულა სიმღერები „ვიმარჯვებთ ყველგან, სადაც შენა ხარ“ (მუსიკა შ. მილორავასი), „ჩაკრულო“, „ხასანბეგურა“, „ოდოია“, აგრეთვე „ცეკვა განდაგან“, „ფერხული“, ცეკვა „სპორტული ხალხური თამაშობანი“.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიმებიანმა ორკესტრმა, თბილისის მასწავლებლის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, მედიცინის მუშაკთა ვოროშილოვის სახელობის რესპუბლიკური სახლის ქორეოგრაფიულმა ჯგუფმა.

2 ნოემბერს დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის, კიროვის, 26 კომისრისა და გარეუბნის რაიონების მშრომელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

მრავალფეროვანი იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თვითმოქმედი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების პროგრამა. სიმფონიურმა ორკესტრმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. ნასიძის ხელმძღვანელობით და მომღერალთა გუნდმა ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ს. ველესიანის ხელმძღვანელობით შეასრულეს „ჰიმნი სტალინს“ და ნაწყვეტები ზაქარია ფალიაშვილის ოპერიდან „დაისი“. მოცეკვავეთა ჯგუფმა წარმოადგინა „ცეკვა დავლური“ და „მთიულური“. ახალგაზრდა პოეტმა ა. გეწაძემ წაიკითხა საკუთარი ლექსი „ხალხის სახელით გაფრთხილებთ“, ა. ჩაფიძემ—ი. ნონეშვილის ლექსი „ზოია კოსმოდემიანსკაია“, მ. სამსონიძემ—ვ. მაიაკოვსკის ლექსი „ვლადიკავკაზიდან თბილისამდე“.

საქართველოს ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ვ. მახარაძე) შეასრულა ხალხური სიმღერა „ლაშქრული“ და ცეკვა „ხორუმი“.

დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტისა და უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლებმა, დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ორჯონიკიძის რაიკომის მომღერალთა გუნდმა. კვების მრეწველობის სამინისტროს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ბაქრაძე) შეასრულა „სიმღერა სტალინზე“, „ცხენოსნური მაყრული“ და „ფერხული ცერულით“.

საქართველოს სსრ სარეწაო კოოპერაციის ბერიას სახელობის კულტურის სახლმა დათვალიერებაზე წარმოგზავნა მეჩონგურე ქალთა ანსამბლი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ალ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით და მომღერალთა გუნდი, რომლის ხელმძღვანელია ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. თარხნიშვილი. მეჩონგურე ქალთა ანსამბლმა შეასრულა „ხალხური შაირები“ და „საკოლმეურნეო ცეკვა“, მომღერალთა გუნდმა—„ჰიმნი პარტიას“ და ხალხური სიმღერა „სუფრული“.

კულტურის ცენტრალური სახლის ხალხურ საკრავთა ანსამბლმა, რომლის შემადგენლობაში შედიან ხელაია, ყარალაშვილი, ჯაფარიძე, ფარადაშვილი და კერესელიძე, შეასრულა „სიმღერა ბერიაზე“ და „გაბაასება“. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კულტურის ცენტრალური სახლის მეფანდურეთა ანსამბლმა და მილიციის რესპუბლიკური სამმართველოს ცენტრალური კლუბის მოცეკვავეთა ჯგუფმა.

ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი გ. ბულაძე) შეასრულა „სიმღერა სტალინზე“ და „ჩვენ მშვიდობა გვინდა“. ძაფსართავი ფაბრიკის მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი ვ. ჯაიანი)— „იფრინე, გამარჯვების სიმღერავ“.

ავჭალის სასოფლო კლუბიდან ნ. ცინცაძემ და ლ. აბაზოვმა იმღერეს „კობამ დაიწყო ხასანბეგურა“, ხალხური „ოთხი ნანა“ შეასრულეს გიორგი, სოლომონ და ნინელი ცინცაძეებმა. მუშათა კლუბიდან ი. ბელობოკმა, ბ. ბელობოკმა და ვ. ვინნიკმა სიმებიან ინსტრუმენტებზე შეასრულეს „პოპური“. ხალხური „ურმული“ იმღერა მარტყოფის სასოფლო კლუბიდან ნ. სამკუაშვილმა.

3 ნოემბერს გაიმართა დასკვნითი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მოწინავე მხატვრულმა თვითმოქმედმა კოლექტივებმა და ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა.

კ ი ნ ო

# ფილმი დიდ რუს კომპოზიტორზე

მოსკოვის კინოსტუდიის—„მოსფილმის“ ახალი ფერადი მხატვრული ფილმი „კომპოზიტორი გლინკა“ ამაღელვებლად მოგვითხრობს რუსული მუსიკის გენიის მიხეილ ივანეს-ძე გლინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

გლინკა ეკუთვნის რუსული კულტურის მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადას. მას სამართლიანად უწოდებენ „პუშკინს მუსიკაში“. გლინკა მთელი ცხოვრების მანძილზე დაუღალავად იბრძოდა რუსული ეროვნული, კლასიკური მუსიკის შექმნისათვის. დიდი კომპოზიტორი შთაგონებით უმღეროდა რუსი ხალხის შემოქმედებითი გენიას, მის ნიჭსა და ძლიერ სულს. მგზნებარე პატრიოტი მხატვრულ-მუსიკალურ სახეებში გამოხატავდა ხალხის ცხოვრებას, მის გრძნობებსა და მისწრაფებებს.

გლინკამ თავისი უკვდავი შემოქმედებით საფუძველი ჩაუყარა რუსულ რეალისტურ სკოლას მუსიკაში და უჩვენა მას შემდგომი განვითარების გზები. ამ სკოლამ მისცა კაცობრიობას დარგომიჟსკი, ჩაიკოვსკი, სეროვი, ბალაკირევი, მუსორგსკი, ბოროდინი, რიმსკი-კორსაკოვი და რახმანინოვი.

გლინკას სახელი მახლობელი და ძვირფასია ყოველი საბჭოთა ადამიანისათვის. დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა 1941 წლის 6 ნოემბერს გლინკა დაასახელა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ წინაპართა შორის, იმ ადამიანთა შორის, რომლებიც ჩვენი სამშობლოს სიამაყეს და დიდებას წარმოადგენენ. ფილმი „კომპოზიტორი გლინკა“ ნათლად გვიჩვენებს დიდი რუსი კომპოზიტორის შემოქმედების უდიდეს მნიშვნელობას, მისი მუსიკის ეროვნულ ხასიათს. გლინკამ თავის შემოქმედებაში გამოხატა მოწინავე რუსი ადამიანების ფიქრები და მისწრაფებები. სურათში ნაჩვენებია კომპოზიტორის განუყრელი კავშირი ხალხთან, მისი შემოქმედების ხალხური წყაროები.

ფილმს დიდ კომპოზიტორზე საფუძვლად უდევს პ. პავლენკოს, ნ. ტრენევას და დამდგმელ-რეჟისორის გ. ალექსანდროვის სცენარი.

ფილმი გლინკაზე — ეს არის ფილმი მის გენიალურ მუსიკაზე. მუსიკალურ მასალას მასში ეძლევა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. გლინკამ პირველმა გახადა ხალხი ოპერის მთავარ გმირად. სცენარის ავტორები სწორად მოიქცნენ, რომ გლინკას შემოქმედების ეს მთავარი მხარე აიღეს ფილმის თემად.

ფილმში მხატვრული ოსტატობით არის ნაჩვენები კომპოზიტორის პირადი ცხოვრების კავშირი მის შემოქმედებასთან. მისი ცხოვრების ისტორია ეხმარება მაყურებელს სწორად გაიგოს შესანიშნავი მუსიკალური სახეები. სურათი საუკეთესოდ გვიჩვენებს გლინკას შემოქმედების მთავარ ეტაპებს.

ფილმში დიდი კომპოზიტორის მოღვაწეობა ნაჩვენებია საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო ფონზე. ნიკოლოზ I-ის შავბნელ ეპოქაში გლინკა შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა რუსული ეროვნული მუსიკის შესაქმნელად. ამ ბრძოლაში ის მტკიცედ იყო დაკავშირებული ხალხთან, მის საუკეთესო წარმომადგენლებთან. გლინკას ღრმად სწამდა რუსი ხალხის ძალა, ნიჭი და უდრეკი ნებისყოფა.

ფილმის პირველ კადრებშივე ნაჩვენებია რუსი ხალხის უმაგალითო გმირობა. მაყურებელი ხედავს 1828 წლის წყალდიდობას პეტერბურგში. აბობოქრებული ნევა წალეკვით ემუქრება ქალაქს. მეფე უძლურია სახალხო უბედურებასთან ბრძოლაში. მაგრამ ხალხი გმირულად ებრძვის ბუნების სტიქიას. ბობოქარ ტალღებს მოარღვევს პატარა ნავი და სტიქიასთან დაძაბული ბრძოლის დროს ისმის მენავეთა მხნე სიმღერა, როგორც ხალხის ძლიერი სულისა და უდრეკი ნებისყოფის გამომხატველი.

ამ მძიმე წუთებში ნევის ნაპირზე ერთმანეთს ხვდება რუსეთის კულტურის ორი დიდი გენია — გლინკა და პუშკინი. ისინი ხედავენ უბედურებაში ჩავარდნილ ათასობით ადამიანებს და მხურვალე სიყვარულს გამოხატავენ მათდამი. ამავე დროს სასახლის ფანჯრიდან ნიკოლოზ I გულგრილად უცქერის ხალხის უბედურებას და მას ოდნავადაც არ აწუხებს უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანთა ბედი. ფილმის ავტორებმა ამ კადრებით შესანიშნავად მოგვცეს დაპირისპირება ხალხის ჯალათის — დესპოტი მეფის და მგზნებარე პატრიოტების — სამშობლოს ერთგული შვილებისა.

მაყურებელს ღრმად რჩება ხსოვნაში ვიელგორსკის სასახლეში გამართული რუსული მუსიკის პირველი კონცერტი. ყმა გლეხებისაგან შემდგარი გუნდი საუკეთესოდ ასრულებს გლინკას მიერ ხალხურ მოტივზე დამუშავებულ შესანიშნავ რუსულ სიმღერებს.

მაგრამ სასახლის მაღალი წრის წარმომადგენლები, რომლებიც მონურად იხრიდნენ ქედს ყოველივე უცხოურისადმი და ზიზღით უყურებდნენ რუსულ ეროვნულ მუსიკას, დაცინვით შეხვდნენ გუნდის გამოსვლას. აღშფოთებული გლინკა, პუშკინთან და გრიბოედოვთან ერთად, სტოვებს ვიელგორსკის სასახლეს.

გლინკა მიემგზავრება იტალიაში. ჩვენ ვხედავთ ვენეციის მშვენიერ პანორამას. მაგრამ დიდ კომპოზიტორს ვერ ხიბლავს უცხო ქალაქის სილამაზე და მუდამ სამშობლოზე ფიქრობს.

სამი წლით განშორების შემდეგ გლინკა ბრუნდება რუსეთში. შეუძლებელია მაყურებელმა დაივიწყოს ის კადრები, სადაც ასახულია გლინკას დაბრუნება სამშობლოში. ეკრანზე იშლება მშობლიური ქვეყნის წარმტაცი პეიზაჟი.

თვალუწვდენელი სიშორიდან ლაღად მოედინება ფართო და წყალუხვი მდინარე, გაშლილ ველებზე ზღვასავით ღელავს ოქროს თავთავები; შორს, გამჭვირვალე ცის სიღრმეში მოჩანს თეთრი ღრუბლები.

გლინკა შესტრფის მშობლიური ქვეყნის ბუნებას. მისი სიმშვენიერით დატყვევებული დიდხანს დგას მაღლობზე და აღელვებული უსმენს გულში ჩამწვდომ რუსულ ხალხურ სიმღერებს.

ფილმში ნაჩვენებია უბრალო ადამიანები, რომლებმაც შთააგონეს, სული ჩაუდგეს გლინკას შემოქმედებას.

დაუვიწყარი და ამაღელვებელია ის კადრები, სადაც ნაჩვენებია ყმა გლეხების მიერ ძველი ეკლესიის გადატანა. ეს ნამდვილი ისტორიული ფაქტია სურათში გამოყენებული. მოგზაურობის დროს გლინკამ ნახა, თუ როგორ გადაჰქონდათ ყმა გლეხებს ძველი ეკლესია სხვა ადგილზე. კომპოზიტორი აღფრთოვანებაში მოჰყავს უბრალო ადამიანების ნიჭსა და გამბედაობას, მათს უმაგალითო გმირობას.

გლინკა ესაუბრება ამ გაბედული ნაბიჯის ინიციატორს, 1812 წლის სამამულო ომის მონაწილე ყმა გლეხს დიმიტრი პეტროვს. აქვე არის მსოფლიოში პირველი ორთქლმავლის გამომგონებელი ყმა ჩერეპანოვი. ფილმი გვიჩვენებს, რომ სწორედ აქ დაებადა გლინკას გენიალური აზრი ეჩვენებინა მუსიკალურ ხელოვნებაში უბრალო რუსი ადამიანების მრავალმხრივი ნიჭი, მგზნებარე პატრიოტიზმი და შრომისადმი სიყვარული.

პეტერბურგში, პუშკინის ბინაზე გლინკა ესაუბრება მეგობრებს თავისი ოცნების შესახებ — შექმნას ნაწარმოები ხალხის შესახებ, დაწეროს პირველი რუსული სახალხო ოპერა.

ფილმი საუკეთესოდ მოგვითხრობს ოპერა „ივან სუსანინის“ დადგმის ისტორიას. ნაჩვენებია ის შევიწროება და დევნა, რომელსაც განიცდიდა გენიალური კომპოზიტორი სასახლის მაღალი წრის წარმომადგენლებისაგან იმისათვის, რომ გლინკამ გაბედა და რუსული თეატრის სცენაზე გამოიყვანა უბრალო ადამიანები.

გლინკა პირველი კომპოზიტორი იყო, რომელმაც უმღერა უბრალო ადამიანების ნიჭსა და სიდიადეს. ეს პატრიოტული წამოწყება შემდეგში განავითარეს თავიანთ შემოქმედებაში რუსული საოპერო ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა: დარგომიჟსკიმ, ბოროდინმა, მუსორგსკიმ და რიმსკი-კორსაკოვმა.

1836 წლის 7 ნოემბერს დაიდგა ოპერა „ივან სუსანინი“, სპექტაკლი რუსული მუსიკალური კულტურის ზეიმად გადაიქცა. პუშკინი, გლინკა, ოდოევსკი, ჟუკოვსკი, გლინკას და ლიუდმილა ივანეს ასული აუწერელი სიხარულით შეხვდნენ „ივან სუსანინის“ გამარჯვებას.

გლინკა ოცნებობს ახალი ოპერის დაწერის შესახებ. მას სურს უჩვენოს რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხების მუსიკალური სიმდიდრე. ფილმში ნაჩვენებია ბაზრობა უკრაინის სოფელში. გლინკა აქ უსმენს ბრმა მებანდურეთა ამაღელვებელ სიმღერებს. კომპოზიტორი აღფრთოვანებაში მოდის რუსული ხალხური ცეკვით. მასზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს ხალხური მელოდიები. გლინკა გულდასმით უკვირდება და ღრმად სწვდება ხალხის მუსიკალური ენის დამახასიათებელ ხვეულებს.

გლინკა საუკეთესოდ იყენებს ხალხურ შემოქმედებას ოპერა „რუსლან და ლიუდმილაში“. ეს ოპერა გლინკას შემოქმედებითი გენიის ახალი დიდი გამარჯვება იყო.

შესანიშნავია ფილმის ფინალური კადრები. აქ ნაჩვენებია ხალხის უსაზღვრო სიყვარული თავისი საამაყო შვილისადმი, დიდი რუსი კომპოზიტორისადმი.

პეტერბურგის ქუჩებში მწყობრ კოლონებად მოდიან სევასტოპოლის გმირი დამცველები. ისინი მღერიან გლინკას შესანიშნავ ჰიმნს „დიდება“. გლინკა მიდის ფანჯარასთან გაბრწყინებული სახით და ისმენს მის მიერ რუსი ხალხის სადიდებლად დაწერილ ჰიმნს. მგზნებარე პატრიოტი უდიდესი სიხარულის წუთებს განიცდის.

ფილმი „კომპოზიტორი გლინკა“ შესანიშნავი ნაწარმოებია რუსული მუსიკის გენიის, მიხეილ ივანეს-ძე გლინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

სურათი დადგმულია ბრწყინვალე რეჟისორული ოსტატობით გ. ალექსანდროვის მიერ. ფილმის ყოველ კადრში მოჩანს ოსტატისა და გამოცდილი მხატვრის ხელი.

ფილმში დიდი ადგილი უჭირავს მუსიკას. კომპოზიტორების ვ. შერბაჩოვისა და ვ. შაბალინის მიერ მაღალი გემოვნებით არის შერჩეული საუკეთესო ფრაგმენტები გლინკას მდიდარი მუსიკალური მემკვიდრეობიდან.

ფილმში კომპოზიტორ გლინკას დაუვიწყარ სახეს ქმნის ბ. სმირნოვი. მსახიობის თამაში გულწრფელობით, უშუალობით გამოირჩევა და მაყურებელს ატყვევებს თავისი შინაგანი სითბოთი.

გლინკას დის ლიუდმილას როლს შესანიშნავად თამაშობს ლ. ორლოვა. მსახიობი ქმნის მზრუნველი დის დაუვიწყარ სახეს.

კარგია პუშკინის როლში ახალგაზრდა მსახიობი ლ. დურასოვი. გლინკას ახალი მეგობრის კომპოზიტორ ა. დარგომიჟსკის როლს კარგად ასრულებს ი. ლიუბიმოვი. მსახიობმა მ. ნაზვანოვმა შექმნა მრისხანე თვითმპყრობელის და დესპოტის ნიკოლოზ I-ის სახე.

შესანიშნავად ასრულებს მჭედელ დიმიტრი პეტროვის ეპიზოდურ როლს ა. საშინ-ნიკოლსკი. მსახიობი ბუნებრივი და გულწრფელი თამაშით მაყურებელთა დიდ სიმპათიას იმსახურებს.

გლინკას უახლოესი მეგობრების როლებს კარგად ასრულებენ: გ. ვიცინი (გოგოლი), ი. ლიტოვკინი (გრიბოედოვი), ა. პოპოვი (ახალგაზრდა სტასოვი), ი. იუროვსკი (ვიელგორსკი), ს. ვეჩესლავი (ოდოევსკი), ქ. ნასონოვი (ჟუკოვსკი).

შესანიშნავია უნგრეთის გამოჩენილი კომპოზიტორის ფრანც ლისტის როლში ნიჭიერი საბჭოთა პიანისტი სვიატოსლავ რიხტერი.

ფილმი საუკეთესოდ არის გადაღებული, რაც გამოცდილ ოპერატორ ე. ტისეს მაღალ ოსტატობას მოწმობს. განსაკუთრებით კარგად არის ნაჩვენები სურათში რუსეთის ბუნების მომხიბლავი პეიზაჟი.

ფილმი მდიდარია შესანიშნავი ბუნებრივი ფერებით. ამ მხრივ ის საუკეთესო საბჭოთა ფერადი ფილმების რიცხვს ეკუთვნის.

ფილმი „კომპოზიტორი გლინკა“ მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებია რუსული მუსიკის გენიის, — მიხეილ ივანეს-ძე გლინკას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. იგი საბჭოთა კინემატოგრაფიის ახალი დიდი გამარჯვებაა.

ნ. შველიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი**, 3 ნოემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის დღეს გადმოცემულ ცნობაში ნათქვამია, რომ განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეებთან თანამოქმედებით გააფთრებულ თავდაცვითს ბრძოლას ეწეოდნენ ცენტრალურ ფრონტზე.

კიმხვის რაიონში ამერიკის მე-7 დივიზიის ერთმა პოლკმა 75 ტანკისა და მრავალი თვითმფრინავის დახმარებით 14-ჯერ მოიტანა იერიში. მოწინააღმდეგე წააწყდა ჩვენი ჯარების წინააღმდეგობას, დიდი ზარალი ნახა პირად შემადგენლობაში და მატერიალური ნაწილის მხრივ და უკან დაიხია.

მუნდინის დასავლეთით მდებარე რაიონში ლისინმანელთა ჯარის ერთმა ბატალიონმა 13-ჯერ მოიტანა გააფთრებული იერიში. მოწინააღმდეგე უკუგდებულ იქნა მისთვის დიდი ზარალით.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 4 და დააზიანეს 5 თვითმფრინავი.

## კორეელი ხალხი ემზადება დიდი ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად

**ფხენიანი**, 3 ნოემბერი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ენერგიულად ემზადებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 35-ე წლისთავისათვის.

ფხენიანში, ანჯუში, ხამხინში, ჩონჯუში, სინიჯუში, კოსონსა და სხვა ქალაქებში სსრ კავშირთან კულტურული ურთიერთობის კორეის საზოგადოებამ მოაწყო ფოტოგამოფენები კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შრომითი წარმატებების შესახებ. ჩრდილოეთ ფხენანის პროვინციის საწარმოებში, სოფლებსა და მებადურთა დაბებში გაიმართა ლექციები და საუბრები თემებზე: „დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი ეპოქა შექმნა კაცობრიობის ისტორიაში", „ოქტომბრის რევოლუცია და კორეელი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა" და სხვ. პროვინციაში დაიწყო საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი.

ტიაგანის პროვინციაში ეწყობა კორეა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიური.

რესპუბლიკის საწარმოებსა და სოფლებში ფართოდ გაჩაღდა საწარმოო შეჯიბრება ოქტომბრის 35-ე წლისთავის აღსანიშნავად. საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი მსოფლიოს მშრომელების ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან.

## გენერალ ნამ ირის პროტესტი

**პეკინი**, 2 ნოემბერი. (საქდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტმა გუშინ კესონიდან გადასცა ცნობა:

კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების მონაწილე კორეისა და ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა დღეს ამერიკის მხარეს მტკიცე პროტესტი განუცხადა კოჯედოსა და ჩეჯუდოს კუნძულებზე სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ამერიკელების ახალი მხეცობის წინააღმდეგ. 28, 29 და 30 ოქტომბერს ამ ბანაკებში მოკლეს და დაჭრეს 180 კორეელი და ჩინელი სამხედრო ტყვე.

გენერალ ნამ ირის პროტესტში, რომელიც მან გაუგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების სარდლობის დელეგაციის მეთაურს, კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე გენერალ-ლეიტენანტ ჰარისონს, ნათქვამია:

3 დღის განმავლობაში — 28, 29 და 30 ოქტომბერს — თქვენი მხარე მხეცობას სჩადიოდა ჩვენი მხარის სამხედრო ტყვეების მიმართ, რის შედეგად მოკლულ და დაჭრილ იქნა 180 სამხედრო ტყვე. მე დავალებული მაქვს მტკიცე პროტესტი განგიცხადოთ ამ სასტიკი სისხლიანი სამხედრო დანაშაულის წინააღმდეგ. ოქტომბერში თქვენმა მხარემ აშკარად აღიარა, რომ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მოკლული ან დაჭრილია ჩვენი მხარის 486 სამხედრო ტყვე, რაც თქვენი მხარის მიერ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში მოწყობილი ხოცვის რეკორდს წარმოადგენს. ერთი მხრივ, თქვენ ჩაფუშეთ მოლაპარაკება დაზავების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ—გააძლიერეთ სამხედრო ტყვეების ხოცვა. ეს შემთხვევითი როდია. ამ სისხლისღვრამ სავსებით ცხადყო სამხედრო ტყვეების დაკავების თქვენი გეგმის გაკოტრება და ის, რომ თქვენმა მხარემ გადაწყვიტა ჩაფუშოს მოლაპარაკება დაზავების შესახებ და ამზადებს კორეის ომის გაფართოებას.

თქვენი მხარის წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიაზე თვალთმაქცურად აცხადებს, რომ თქვენი მხარე იცავს სამხედრო ტყვეებისადმი მოპყრობის ეგრეთწოდებულ „ჰუმანურ პრინციპებს", მაგრამ არაფერს ამბობს თქვენი მხარის სისხლიან დანაშაულზე, რაც სამხედრო ტყვეთა დახოცვით გამოიხატა. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი „ჰუმანური პრინციპი", როგორიც არის სამხედრო ტყვეების დახოცვა და დაკავება. თქვენმა მხარემ სრულიად გაიტეხა სახელი მთელი მსოფლიოს ხალხთა თვალში. ცივილიზებული კაცობრიობა, ეჭვი არ არის, ნებას არ მოგცემთ განაგრძოთ თქვენი მხეცობა. თქვენს მხარეს უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა სამხედრო ტყვეთა დახოცვისა და დაკავებისათვის, დაზავების შესახებ მოლაპარაკების ჩაფუშვისა და ომის გაფართოების გეგმების მომზადებისათვის.

## აგრესიული ატლანტიკის ბლოკის საომარი მზადება

**ლონდონი**, 3 ნოემბერი. (საქდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 7 ნოემბერს კვებეკში დაიწყება კანადის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წარმომადგენელთა დახურული თათბირი. თათბირზე, აღნიშნავს სააგენტო, სხვა საკითხთა შორის განიხილავენ აგრეთვე იარაღის სტანდარტიზაციის საკითხს.

## დიკმანის წერილი გადაეცა ბონის პარლამენტის ფრაქციებს

**ბონი**, 3 ნოემბერი. (საქდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის სააგენტო დპა იუწყება, ბუნდესტაგის თავმჯდომარემ გერმან ელერსმა განკარგულება გასცა ბუნდესტაგის ფრაქციებს გადაეცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის დიკმანის წერილი.

# გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

## სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტში

**ნიუ-იორკი**, 31 ოქტომბერი. (საქდესი). 29 ოქტომბერს სოციალურ, ჰუმანიტარულ და კულტურულ საკითხთა კომიტეტმა დაამთავრა საერთო დისკუსია ინფორმაციის თავისუფლების საკითხის გამო. შუა აღმოსავლეთის ქვეყნების (ავღანეთი, ლიბანი, ერაყი, საუდის არაბეთი), აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნების (ბოლივია, გვატემალა, ჩილი) მთელმა რიგმა დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ უცხოეთის კომპანიები, ტრესტები და სინდიკატები გადამწყვეტ გავლენას ახდენენ ინფორმაციაზე მათ ქვეყნებში.

ამ ქვეყნების წარმომადგენლები, ლაპარაკობდნენ რა ინფორმაციის დარგში კაპიტალისტური მონოპოლიების გადამწყვეტ გავლენაზე, აღნიშნავდნენ საზოგადოებრივ აზრზე ამერიკული მონოპოლიების ზეგავლენას. საზოგადოებრიობისათვის ამ მონოპოლიების სასურველი იდეების თავს მოხვევას, ამ ქვეყნების საშინაო პოლიტიკის შესახებ ყალბი და ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელებას, თუ ეს პოლიტიკა არ მოსწონთ ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებს.

ავღანეთის წარმომადგენელმა თქვა, რომ უცხოეთის მონოპოლიების პროპაგანდის მსხვერპლია პატარა ქვეყნები. ბოლივიის დელეგატი შეეხო უცხოეთის კომპანიების საქმიანობას ინფორმაციის დარგში და განაცხადა, რომ ამ კომპანიების ძალაუფლებამ, რომლებიც ყიდულობენ ჟურნალისტებს, როგორც მონებს, ისეთ დონეს მიაღწია, რომ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მთელ რიგ ქვეყნებს. ინფორმაციის დარგში კომერცია არაპატიოსან საქმედ იქცა, ვიდრე კომერცია იარაღით ვაჭრობის დარგში,—თქვა მან დასასრულ.

გვატემალის წარმომადგენელმა ილაპარაკა, თუ როგორ ბატონობენ ამერიკის მონოპოლიები მისი ქვეყნის ინფორმაციის დარგში. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უცხოეთის მონოპოლიებმა ცილისმწამებლური კამპანია მოაწყეს მიწის რეფორმის კანონის მიღების წინააღმდეგ.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა ფ. ნოვიკოვამ თავის გამოსვლაში მოუწოდა კომიტეტს გულდასმით განიხილოს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებანი, რომლებიც შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დიდმნიშვნელოვან ამოცანებს ინფორმაციის თავისუფლების დარგში და რომლებიც ითვალისწინებენ პრესისა და ინფორმაციის ორგანოების განთავისუფლებას იმ კერძო საგამომცემლო მონოპოლიების, ტრესტებისა და სინდიკატების ზეგავლენისა და დიქტატისაგან, რომლებიც ხალხთა შორის მტრობისა და სიძულვილის პროპაგანდას ეწევიან.

საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებულ წინადადებათა მხარდასაჭერად გამოვიდნენ აგრეთვე უკრაინის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები.

30 ოქტომბერს კომიტეტი შეუდგა მის განსახილველად წარდგენილ რეზოლუციათა განხილვას.

## მეურვეობის საკითხთა კომიტეტში

**ნიუ-იორკი**, 31 ოქტომბერი. (საქდესი). მეურვეობის საკითხთა კომიტეტმა დაამთავრა საერთო დისკუსია არათვითმმართველი ტერიტორიების თაობაზე ინფორმაციის საკითხის შესახებ.

სხდომებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს წლიური ანგარიში გააკრიტიკა უკრაინის სსრ წარმომადგენელმა ნ. პ. ბაჟანმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში ასახავს კოლონიურ სახელმწიფოთა თვალსაზრისს. აქ ცდილობენ კოლონიებში სულ უფრო მზარდი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოგვიდგინონ როგორც ისეთი მოძრაობა, რომელიც „საფრთხეს უქმნის თანამედროვე ცივილიზაციას", ხოლო კოლონიური ქვეყნების მოსახლეობის ცხოვრების დაბალი დონის მიზეზები მოსახლეობის ზრდით „ახსნან". ასეთი მტკიცება, თქვა ბაჟანმა, ემყარება მალთუსის მოძღვრებას, რომელიც მეცნიერებამ დიდი ხანია უკუაგდო.

ბაჟანი შეეხო დანიის წარმომადგენლის გამოსვლას, რომელმაც მხარი დაუჭირა მოხსენების ძირითად დებულებებს და რჩევა მისცა კომიტეტს კოლონიური ხალხებისათვის შემოიღოს კონტროლი შობადობისადმი, გამოააშკარავა ყველა ამ კაცთმოძულე წინადადების ნამდვილი აზრი და მოიყვანა ცნობები ნაკლებგანვითარებული ქვეყნების ძირითად მოსახლეობაში სიკვდილიანობის შესახებ. მაგალითად, საფრანგეთის დასავლეთ აფრიკაში ბავშვთა სიკვდილიანობა 1951 წელს გადიდდა 113-მდე თვითეულ ათასზე. გამბიაში ძირითადი მოსახლეობის ბავშვები ექვსჯერ მეტი კვდება, ვიდრე ამ კოლონიაში მცხოვრებ ევროპელთა ბავშვები.

კომიტეტის სხდომებზე გამოსულმა ბელორუსიის სსრ და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებმა მრავალი მაგალითით ცხადყვეს, რომ მმართველ სახელმწიფოთა პოლიტიკა ემყარება ძირითადი მოსახლეობის ეროვნულ და რასობრივ ჩაგვრას და მისი მიზანია კოლონიების ადამიანთა რეზერვებისა და ბუნებრივი რესურსების კოლონიური ექსპლოატაციის გაძლიერება.

ბელორუსიის სსრ და პოლონეთის წარმომადგენლებმა ამხილეს აგრეთვე ცილისმწამებლური ბორები ტიტოს წარმომადგენლისა, რომელმაც გაიმეორა ამერიკის პროპაგანდის ყალბი მტკიცება სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მიმართ.

მმართველ სახელმწიფოთა კოლონიური პოლიტიკა გააკრიტიკა ლიბანის წარმომადგენელმა, რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ მაროკოს მოსახლეობა იტანჯება უხეში რასობრივი დისკრიმინაციით და ფრანგული კაპიტალის ბატონობით.

ერაყის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამჟამად კოლონიებში წარმოებს დამოკიდებულ ხალხთა გამოღვიძება და ილაპარაკა ჩრდილოეთ აფრიკის მდგომარეობაზე, სადაც ევროპელთა მცირე ჯგუფი სრულიად მოურიდებლად თელავს ფეხქვეშ ძირითადი მოსახლეობის უფლებებს.

კომიტეტის სხდომაზე გამოვიდნენ ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც აღნიშნავდნენ არათვითმმართველი ტერიტორიების ძირითადი მოსახლეობის ცხოვრების დაბალ დონეს და მოითხოვდნენ კოლონიებში ფართოდ გავრცელებული რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციას.

კუბის წარმომადგენელმა მოუწოდა გენერალურ ასამბლეასა და კომიტეტს მიიღონ რეზოლუცია, რომელიც დაგმობს და აკრძალავს რასობრივ დისკრიმინაციას, ხოლო მმართველ ხელისუფალთ ურჩია მიიღონ საკანონმდებლო ღონისძიებანი რასობრივი დისკრიმინაციის გავრცელებაში დამნაშავეთა დასასჯელად.

# გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამა

**ბერლინი**, 4 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან გადმოგვცემს, 1952 წლის 1-2 ნოემბერს გაიმართა გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის პლენუმი, რომელზეც განხილულ და მიღებულ იქნა გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამა.

როგორც აღნიშნულია გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობის კომუნიკეში, გერმანიის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ მაქს რაიმანმა პლენუმზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც მან დაასაბუთა კომუნისტური პარტიის მიერ გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამის მიღების საჭიროება.

ადენაუერის მთავრობა, განაცხადა რაიმანმა თავის სიტყვაში, დღითიდღე სულ უფრო ეთიშება ხალხს. ადენაუერი თავის პოლიტიკას უხალხოდ ახორციელებს. იგი იბრძვის ხალხის წინააღმდეგ. მთავრობის სულ უფრო აშკარა გადასვლა მართვის ფაშისტურ მეთოდებზე იმას მოწმობს, რომ ადენაუერის მთავრობა და დასავლეთ გერმანიის ის რეაქციული ძალები, რომლებსაც იგი წარმოადგენს, სრულიად არ ფიქრობენ ნებაყოფლობით გადადგომაზე. არამედ ყოველი საშუალებით დაიცავენ ხალხისაგან მათ მიერ დაკავებულ პოზიციებს. ამიტომ ადენაუერის მთავრობა უნდა დაამხოს ხალხმა. გერმანიის გათიშვის ბონის რეჟიმი მოსპობილ უნდა იქნას მთელი ხალხის ბრძოლით.

ამიტომ გადამწყვეტი ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მოისპობა ბონის რეჟიმი და გერმანელთა შორის შეთანხმების საფუძველზე შეიქმნება ეროვნული გაერთიანების მთავრობა, რომელიც აღადგენს ხალხის დემოკრატიულ თავისუფლებებსა და უფლებებს. დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა ასეთი მთავრობისაგან მოელის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან მოლაპარაკების დაუყოვნებლივ დაწყებას, რათა შეიქმნას ეროვნული კრების სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების განხორციელების წინაპირობები დიდ სახელმწიფოთა წინაშე იმ ერთობლივი გამოსვლის მიზნით, რომელიც მიმართული იქნება საზავო ხელშეკრულების დადებისა და ყველა საოკუპაციო ჯარის გაყვანისაკენ.

გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამაში ჩვენი პარტია თანამედროვე ეტაპის მთავარ მიზანს—გერმანიის ერთიანობის აღდგენას დემოკრატიულ საფუძველზე, საზავო ხელშეკრულების დადებასა და ყველა საოკუპაციო ჯარის გაყვანას — უერთებს ჩვენი ხალხისათვის დემოკრატიულ უფლებათა და თავისუფლებათა მოთხოვნას, ხალხის ცალკე ფენების უაღრესად მნიშვნელოვან სოციალურ მოთხოვნებს. ამავე დროს ეს პროგრამა ჩვენს ხალხს უჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ამ მიზნის მიღწევა ყველა გერმანელი პატრიოტის დარაზმვის, ადენაუერის მთავრობისა და ბონის რეჟიმის დასამხობად თავდადებული ბრძოლის გზით. ამ პროგრამით ჩვენი პარტია სათავეში უდგება დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მიერ ეროვნული სუვერენიტეტისა და დემოკრატიული თავისუფლებებისათვის ბრძოლის დროშით.

მალე გამოქვეყნდება გერმანიის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული გერმანიის ეროვნული გაერთიანების პროგრამა.

# „ახალი ნაბიჯი სრულიად გერმანიის შეთანხმებისაკენ"

### ბონის პარლამენტის თავმჯდომარისადმი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის წერილის გამო

**ბერლინი**, 3 ნოემბერი. (საქდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის დიკმანის წერილმა ბონის ბუნდესტაგის თავმჯდომარის ელერსისადმი, წერილმა, რომელიც შეიცავს წინადადებას გერმანიის ორივე ნაწილის წარმომადგენლებს შორის შეთანხმების რაც შეიძლება მალე მიღწევის შესახებ, გერმანელი ხალხის ფართო მხარდაჭერა პოვა.

სათაურით „ახალი ნაბიჯი სრულიად გერმანიის შეთანხმებისაკენ" გერმანიის თავისუფალი პროფკავშირების გაერთიანების ორგანო — გაზეთი „ტრიბიუნე" დღეს წერს:

„სახალხო პალატის წინადადებებს და სახალხო პალატის თავმჯდომარის ახალ წერილს დიდი მნიშვნელობა აქვს სრულიად გერმანიის შეთანხმებისათვის, ჩვენი სამშობლოს გაერთიანებისა და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების რაც შეიძლება მალე დადებისათვის". გაზეთი აღნიშნავს, რომ უკვე ექვსი კვირა გავიდა, ხოლო ბონის ბუნდესტაგს „სახალხო პალატის ნათელ წინადადებებზე აქამდე არ გაუცია ასეთივე ნათელი პასუხი". „ბონის პასუხისმგებელ პირთა ხანგრძლივმა დუმილმა, — განაგრძობს გაზეთი, — მთელ გერმანიაში სამართლიანი უკმაყოფილება გამოიწვია. კეთილი ნების ყველა ადამიანი უკმაყოფილოა დუმილისა და პასუხის გაჭიანურების მეთოდით.

მაშინ, როცა ბონის ბუნდესტაგის წარმომადგენელი დუმილს ამჯობინებდა, ჩვენი სამშობლოს დასავლეთ ნაწილში გერმანელმა პატრიოტებმა ხმა აღიმაღლეს სრულიად გერმანიის მოლაპარაკებისათვის და სამხედრო „საერთო ხელშეკრულების" წინააღმდეგ".

გერმანიის გლეხთა დემოკრატიული პარტიის ორგანო — გაზეთი „ბაუერნ ეხო" მოწინავე სტატიაში წერს: „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის თავმჯდომარის იოჰანეს დიკმანის ახალ წერილს დოქტორ ელერსისადმი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის კონკრეტულ წინადადებას, რომელსაც ეს წერილი შეიცავს, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ბრძოლისათვის, რომელსაც გერმანელი ხალხი ეწევა სრულიად გერმანიის ურთიერთგაგებისათვის, მშვიდობისა და ჩვენი სამშობლოს გაერთიანებისათვის". სტატიის დასასრულს ნათქვამია:

„თვითეული გერმანელი სიხარულით მიესალმება ამ ახალ წინადადებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია იოჰანეს დიკმანის წერილში. მთელი გერმანია დაუჭერს მხარს ამ წინადადებებს, რომლებიც მშვიდობისა და ერთიანობის საქმეს ემსახურებიან".

„სახალხო პალატის თავმჯდომარის წინადადება, უეჭველია, უაღრესად ცხოველ გამოხმაურებას პოვებს მთელ გერმანიაში,—წერს ქრისტიან დემოკრატთა კავშირის ორგანო გაზეთი „ნოიე ცაიტ". — ეს წინადადება ამტკიცებს, რომ ჩვენ განუხრელად ვცდილობთ გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი ხელს შეუწყობს ჩვენი ერის სასიცოცხლო საკითხების გადაჭრას და მშვიდობის შენარჩუნებას".

# მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

### ნორვეგიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

**ოსლო**, 3 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთი „ფრიხეტენი" იუწყება, რომ 2-3 ნოემბერს ოსლოში გაიმართა ნორვეგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმს დაესწრნენ შვეციის კომპარტიის წარმომადგენელი სეტ პერსონი და დანიის კომპარტიის წარმომადგენელი ბერგე ჰოუმანი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ნორვეგიის კომპარტიის მე-8 ყრილობა მოწვეულ იქნას 1953 წლის 20 მარტს ოსლოში.

პლენუმმა ერთხმად მიიღო მოწოდება ნორვეგიელი ხალხისადმი. მოწოდების დასკვნით ნაწილში ნათქვამია:

„გავათავისუფლოთ ჩვენი ქვეყანა დოლარის იმპერიალიზმის კლანჭებისაგან! არა შეიარაღება და საომარი მზადება, არამედ აქტიური მუშაობა მშვიდობის ინტერესებისათვის! გერმანიის მილიტარიზმის არავითარი აღდგენა, ნუ მივცემთ უცხო სახელმწიფოებს ნორვეგიის მიწაწყალზე ნურავითარ ბაზას! დიდ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის პაქტისა და საყოველთაო განიარაღებისათვის! კორეაში მშვიდობისათვის! სამხედრო სამსახურის ვადის შემცირებისათვის, ცხოვრების დონის დაცვისა და გაუმჯობესებისათვის! აეროდრომებისა და სამხედრო ნაგებობათა ნაცვლად საცხოვრებელი სახლებისათვის! ატლანტიკის ბლოკიდან გამოსვლისათვის! — ასეთი უნდა იყოს ნორვეგიის პოლიტიკა. ნორვეგიის კომუნისტური პარტია აცხადებს, რომ იგი ყოველ ღონეს იხმარს, რათა განხორციელდეს ასეთი პოლიტიკა ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ".

# ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება ეროვნული პარტიული კონფერენციის მოწვევის შესახებ

**პრაღა**, 2 ნოემბერი. (საქდესი). გაზეთი „რუდე პრავო" აქვეყნებს ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებას იმის შესახებ, რომ ამა წლის 16-17 დეკემბრისათვის პრაღაში მოწვეულ იქნას ეროვნული პარტიული კონფერენცია შემდეგი დღის წესრიგით:

1. პარტიის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა და პარტიის ახალი წესდების პროექტი. მომხსენებელი ამხანაგი კლემენტ გოტვალდი.

2. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობის შევსება და ახალი წევრებისა და კანდიდატების არჩევნები.

დადგენილებაში აღნიშნულია პარტიულ კონფერენციაზე წარმომადგენლობის ნორმები და დელეგატების არჩევის წესი.

გაზეთში დაბეჭდილია აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის წესდების პროექტი, წარდგენილი ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ. ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ყველა საოლქო, რაიონულ და ადგილობრივ კომიტეტს გააჩაღონ პარტიის წესდების პროექტის ფართო განხილვა.

# ერაყელი ხალხი რადიკალურ რეფორმას მოითხოვს

**ბეირუთი**, 4 ნოემბერი. (საქდესი). როგორც ბეირუთის რადიო იუწყება, ერაყის მთელმა რიგმა საზოგადო მოღვაწეებმა ერაყის რეგენტს აბდულა ილახს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მოითხოვენ, რომ ერაყში განხორციელდეს რადიკალური რეფორმა, შეიქმნას დემოკრატიული მთავრობა, რომელიც უზრუნველყოფს ერაყის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, დაამყარებს ეკონომიკურ კავშირს საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. წერილში წამოყენებულია მოთხოვნა გაუქმდეს ინგლის-ერაყის ხელშეკრულება და უარყოფილ იქნეს „ტრუმენის პროგრამის მე-4 პუნქტი".

ნეკროლოგი

# ვ. ი. ტოგონიძე



გარდაიცვალა ლენინ—სტალინის პარტიის ერთგული შვილი ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძე.

ამხ. ვ. ტოგონიძე დაიბადა 1912 წელს სოფელ ფარცხნაყანევში (წყალტუბოს რაიონი), მუშის ოჯახში. 1926 წელს დაამთავრა ქუთაისის შვიდწლიანი სკოლა, ხოლო 1930 წელს, ბორჯომის საქარხნო-საფაბრიკო სკოლის დამთავრების შემდეგ, დაინიშნა ქუთაისის პოლიტექნიკური სახელოსნოს გამგედ. მუშაობასთან ერთად იგი სწავლობდა ქუთაისის რკინიგზის მუშფაკში, რომლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1936 წელს ამხ. ვ. ტოგონიძემ დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქუთაისის პარტიული სკოლის პოლიტსწავლების განყოფილების გამგედ, საიდანაც გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ინსპექტორად.

1939 წელს ამხ. ვ. ტოგონიძემ დაამთავრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა. 1948 წელს იგი იცავს დისერტაციას ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება (1804 წ.)", რომელიც შემდეგ ცალკე წიგნად გამოიცა.

1938 წლიდან ამხ. ვ. ტოგონიძე პარტიულ სამუშაოზეა. მუშაობს საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივნად, 1939-დან 1946 წლამდე — საქართველოს კ. პ. (ბ) წყალტუბოს რაიკომის პირველ მდივნად, 1946 წლის ივნისიდან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილების გამგის მოადგილედ, 1947 წლის იანვრიდან 1950 წლის ივლისამდე — საქართველოს კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომის პირველ მდივნად.

1950 წლის ივლისიდან ამხ. ვ. ტოგონიძე მუშაობდა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილედ. ამავე დროს იგი იყო სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ისტორიის კათედრის დოცენტი და ლექციებს კითხულობდა ისტორიის ფაკულტეტზე.

ლენინ—სტალინის პარტიისადმი ერთგულებისა და თავდადებისათვის ამხ. ვ. ტოგონიძე დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით, აგრეთვე სამი მედლით. ამხ. ვ. ტოგონიძე იყო საქართველოს სსრ მეორე და მესამე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მშობლიური პარტიის საქმისადმი ერთგულება, მინდობილი საქმის უდიდესი პასუხისმგებლობით შესრულების გრძნობა, მაღალი მომთხოვნელობა, უბრალოება და თავმდაბლობა — ასეთი იყო ამხ. ვ. ტოგონიძის თვისებები.

ამხ. ვ. ი. ტოგონიძის ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში.

**ამხანაგების ჯგუფი.**

---

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის ამხანაგ**

**ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის**

**გარდაცვალებას.**

---

# მოსკოვის „ტორპედო"— „სსრ კავშირის თასის" მფლობელი

დამთავრდა მიმდინარე სპორტული სეზონის ორი დიდი ასპარეზობა—„სსრ კავშირის თასისა" და პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ამ შეჯიბრებათა შორის უფრო მასობრივი, საინტერესო და მრავალფეროვანი იყო „სსრ კავშირის თასის" გათამაშება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის ფეხბურთელთა 17 ათასზე მეტმა კოლექტივმა.

შეჯიბრების უკანასკნელი ეტაპი აღინიშნა მძაფრი ბრძოლებით. ნახევარფინალში მოსკოვის „სპარტაკმა" დაამარცხა კიევის ოფიცერთა სახლის გუნდი ანგარიშით 2:0, ხოლო მოსკოვის „ტორპედომ" დამატებით დროში მოუგო ლენინგრადის „დინამოს" ანგარიშით 2:1.

ფინალური შეჯიბრება „სსრ კავშირის თასისათვის" მოსკოვის „სპარტაკისა" და „ტორპედოს" გუნდებს შორის გაიმართა 2 ნოემბერს დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე. შეჯიბრების პირველნახევარს შედეგი არ მოუცია. მეორე ტაიმის უკანასკნელ წუთებში ტორპედოელებმა შეძლეს ერთი ბურთის გატანა და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 1:0.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა კოლექტივს საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო—„სსრ კავშირის თასი"; ამავე დღეს საბჭოთა კავშირის 1952 წლის ჩემპიონს — მოსკოვის „სპარტაკის" გუნდს გადაეცა გარდამავალი დროშა და პირველი ხარისხის დიპლომი, ხოლო ფეხბურთელებს — ოქროს მედლები. ჯილდო მიიღო აგრეთვე მოსკოვის „დინამომ".

# ქუთაისის ოლქის ლელობურთელთა გამარჯვება

ლელობურთი ქართული ეროვნული სპორტის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა. რაიონებსა და ქალაქებში ხშირად ეწყობა ლელობურთელთა ამხანაგური შეხვედრები, რომლებიც მრავალ მაყურებელს იზიდავს. ძლიერი კოლექტივები ჰყავთ ქუთაისის ოლქსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას. ეს გუნდები საუკეთესოდ არიან დაუფლებულნი ლელობურთის თამაშის ტექნიკას.

დიდი ინტერესი გამოიწვია მიმდინარე წლის რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა ლელობურთში. დასკვნითი შეხვედრები, ქუთაისის ოლქის, აფხაზეთის, აჭარისა და ქალაქ თბილისის გუნდების მონაწილეობით, გაიმართა თბილისში.

2 ნოემბერს თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ პირველობის მთავარი მეტოქენი — ქუთაისის ოლქისა და აჭარის გუნდები. შეჯიბრების პირველი ნახევარი დამთავრდა ქუთაისის ოლქის ლელობურთელთა სასარგებლოდ ანგარიშით 4:1. მეორე ტაიმში ინიციატივას ქუთაისის ოლქის სპორტსმენები ინარჩუნებდნენ და მოიგეს შეხვედრა საერთო ანგარიშით 10:2.

ამრიგად, საქართველოს 1952 წლის ჩემპიონის წოდება ლელობურთში მოიპოვა ქუთაისის ოლქის გუნდმა, რომელსაც საზეიმოდ გადაეცა გარდამავალი ჯილდო — თასი და ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა რესპუბლიკური კომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომი. მეორე ადგილი დაიკავა აჭარის გუნდმა, მესამე—ქ. თბილისის ლელობურთელთა კოლექტივმა.

რედაქტორის მოადგილე

**ი. ნატროშვილი.**

---

## საქართველოს რადიოგადაცემათა 6 ნოემბრის პროგრამა

**რადიოსადგურებით 1.571 და 59,52 მეტრ ტალღებზე და თბილისის საქალაქო ქსელით:** 06.25 — ქართული ხალხური სიმღერები სამშობლოსა და დიდ სტალინზე; 07.40 — „პიონერთა დაფიონი"; 09.20 — რ. ლაღიძის სიმფონიური პოემა „სამშობლოსათვის"; 11.00—ამხანაგ სტალინის ისტორიული მოხსენების ათი წლისთავი — „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის შესახებ"; 12.15 — კამერული მუსიკის კონცერტი; 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები; 17.15 — რუს კომპოზიტორთა რომანსები; 17.40 — რადიოკომპოზიცია მოსწავლეთათვის — „ოცნების ღა ნატვრის სათავე"; 18.15 — საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები; 19.20 — ტრანსლაცია მოსკოვიდან.


მოქალაქე **სოფიო არუთინის ასულმა კაზაიჯიანმა**, მცხოვრებმა პლეხანოვის ქ. № 77, აღძრა საქმე ტკიევის ქ. № 5 მცხოვრებ მოქალაქე **გიუტ ისაკის-ძე მურადოვთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს მოლოტოვის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ანა, შვილები დინარა, მზია, ვიქტორ, და ელენე, ბიძაშვილები მარგო და ირაკლი ოჯახებით იუწყებიან **ვიქტორ სიმონის-ძე იაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6 და 8-XI, 8 ს., გამოსვენება 9-XI. 4 ს. ვეძინის, 17.

ქუთაისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილება იუწყება **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ლილი, შვილები ეკატერინე, გრიგოლ, მერი, გ. გაჩეჩილაძეები, რძალი თინა, შვილიშვილები თამაზ, ციცინო, ნინო იუწყებიან **ნიკოლოზ ოთიას-ძე გაჩეჩილაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6-XI, 8 ს. გამოსვენება 8-XI, 4 ს. ვარდციხის ქ. № 17.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის კათედრა იუწყება კათედრის წევრის დოცენტ **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

**სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** აცხადებს, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1952 წლის 15 ნოემბერს, დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **მზექალა აკაკის ასული შანიძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ფარინგალური ბგერების საკითხისათვის ძველ ებრაულ ენაში".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი **გ. ახვლედიანი**, მეცნიერების კანდიდატი დოცენტი **კ. წერეთელი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილის **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

შვილები გრიგოლ, ტერეზი, მარუსია, ლუბა, ნატაშა, მარო, რძალი ვერა, სიძეები პ. ჭელიძე, ლ. ლომთათიძე, გ. ჯაში, მ. კალანდაძე, შვილიშვილები ნაზო, გურამ კალანდაძეები იუწყებიან **კესა დავითის ასულ თავართქილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6-XI სოფ. ასკანაში (მახარაძის რ.).

ლილი და გრიგოლ ფოფხაძეები იუწყებიან **ვალერიან იაკობის-ძე ტოგონიძის** გარდაცვალებას.

დედა ანეტა, ძმა დიმიტრი, ბაბუები დიმიტრი, კონდრატე, ბიძები პარმენ, შალვა, ერასტი ოჯახებით, დეიდები ელენე, მარო, ბიძაშვილები გიორგი, ზოია, ნათელა, ზაური იუწყებიან **კლარა იროდიონის ასულ პაპავას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-XI, 8 ს. გამოსვენება 6-XI, 5 ს. ხუდადოვის ქ. № 12.

მშობლები თამარ, როდამ, ბებია ბაბილინა, ბაბუები ილარიონ, ნესტორ, მამიდები ეთერ, ცეცილია, ბიცოლა ფატი, ბიძა ა. კვარაცხელია, ლამარა, ტარიელ ჭურღულია, მედეა, ჯუანშერ კვარაცხელიები იუწყებიან **ირაკლი როდამის-ძე ჩაჩანიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-XI, 8 ს. გამოსვენება 6-XI, 5 ს. დოლიძის ქ. № 26.

შვილები მარო, ლეილა, ნუნუ, შვილიშვილები გურამ, ნანული, თემურ, სიძე ბ. ლაზარიძე იუწყებიან **თამარ თევდორეს ასულ გვიმრაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 6-XI, 5 ს. ფარკოფელის ქ. № 18.

მშობლები მაგდან, ტარასი, ძმები არკადი, გაბრიელ, და ლამარა ვადაჭკორიები, რძლები ც. მამაჯანოვი, ქ. მაღლაფერიძე, სიძე კ. სხირტლაძე ოჯახებით იუწყებიან **შუშანა ტარასის ასულ ვადაჭკორიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-XI სოფ. აკეთში (ლანჩხუთის რაიონი).

მეუღლე ვარო, და ელენე, ძმისწულები დავით, კონსტანტინე, ნორა, ქეთო ბერაიები, სიძე ი. ბალანჩივაძე, რძლები ოლია, თინა იუწყებიან **გიორგი ოქროპირის-ძე ბერაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 5-XI, 8 ს. გამოსვენება 6-XI, 4 ს. პლეხანოვის, 115.

პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან **ალექსი სტეფანეს-ძე ტატიშვილის** გარდაცვალებას.



**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, **განყოფილებისა:** პარტიული ცხოვრების—3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის—3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 05579